h 43.

№ 5

ფეიერი



პირველ მაისს ბერლინში მომხდარ ამბების საპროტესტოდ წითელ ფრონტელების მიერ მოწყობილი დემონსტრაცია.

1 9 მაისი

რემედასის

საქ. ცენტრალურ და ტფ. კომიტეტების ყოველთვიური ორგანო

2 9 ტფილისი

კაპიტალისტურ ქვეყნებში

პოლონეთი.

70 წელი კატორღა.

ვილნოში დასრულდა დასავლეთ ბელორუსიის კომპარტიის გასამართლების პროცესი, სადაც ბრალი ედებოდა 40 კაცს. პროცესი სწარმოებდა დახურულ კარებში, ვინაიდან ბრალდების ერთ-ერთი მუხლი ითვალისწინებდა „უცხო სახელმწიფოს სასარგებლოთ" გაწეულ ჯაშუშობას. პროცესის მონაწილე 26 ბრალდებულს საერთო ჯამით მიუსაჯეს 70 წ. კატორღა.

ლატვია.

„კომუნისტური მიდრეკილების გამო".

ლატვიაში აპატიმრებენ არა მარტო კომუნისტური პარტიის წევრობისათვის, არამედ „კომუნისტური მიდრეკილებისათვისაც" კი. აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ ამ შემთხვევაში ხელისუფლება არ ინდობს არც ბავშებს. ამრიგად ქ. რიგაში, მეტად ფრთხილი გაჩხრეკების ჩატარების შემდეგ დააპატიმრეს 4-ე სკოლის მოწაფეები — როზენტალი, გრუნდული და ვესვაერ.

ბულგარეთი.

სისხლიანი სტატისტიკა.

რემედასის ბულგარეთის სექციამ საერთაშორისო ანტიფაშისტური კონგრესისადმი მიმართული მოწოდებებში მოიყვანა შემდეგი სტატისტიკური ცნობები ფაშისტური გადატრიალების პირველ დღეებიდან მოყოლებული, რომელსაც ადგილი ჰქონდა 1923 წ. აპრილის 9. ამ ხნის განმავლობაში მოკლული და უგზო-უკვლოდ დაკარგულთა რაოდენობა უდრის 25.000, დაპატიმრებულთა 150.000 (ამ უკანასკნელთა შორის მძიმეთ სცემეს და შრომის უნარი დაჰკარგა 44.000 კაცმა). დღეს-დღეობით საპატიმროში მოქცეულია 1.200 (114 მისჯილი აქვს სიკვდილით დასჯა, 110 საუკუნო პატიმრობა, — დანარჩენებს კი საერთო ჯამით მიესაჯა 3.415 წ. პატიმრობა და კატორღა. ამავე დროს ემიგრაციაში გადახვეწილია 2.500 პოლიტიკური მოღვაწე.

1929 წ. თებერვლის 24 ლონდონში ჩამოვიდნენ უმუშევარ მუშების ლაშქრობაში მონაწილე სამთო მუშები. მეორე დღეს მათ მოაწყვეს უდიდესი დემონსტრაცია ტრასფალგარში, რომელშიაც მონაწილეობა მიიღო რამოდენიმე ათასმა მუშამ. სურათზე — ინგლისელი მუშების ბელადები: მარცხნიდან მარჯვნივ — **მერფი და საკლატვალა.**

იტალია.

მუსოლინი „აუქმებს განსაკუთრებულ" კანონებს.

ერთ-ერთი თავის საჯარო გამოსვლის დროს მუსოლინმა განაცხადა, რომ იტალიის მთავრობას განზრახული აქვს ახლო მომავალში გააუქმოს, განსაკუთრებული ტრიბუნალები და მისი კანონები ახალ სისხლის სამართლის კოდექსის შემოღებასთან დაკავშირებით. ახალ კოდექსში არის 21 მუხლი, რომელიც რევოლიუციონური მოღვაწეობისათვის ითვალისწინებს სიკვდილით დასჯას. ფაშისტური წყობილების წინააღმდეგ მიმართული აგიტაციისათვის დამნაშავენი ისჯებიან 3-დან 12 წ. კატორღით. ფაშისტური ხელისუფლების დამხობის ცდისათვის შემჩნეულნი ისჯებიან საუკუნო კატორღით. მთავრობის თავმჯდომარის შეურაცყოფისათვის—12 წ. საპატიმრო. კლასობრივი უთანხმოების გაღვივებისათვის აგიტაციის წარმოება — 5 წ. კატორღა. ამავე დროს აკრძალულია არა მარტო პოლიტიკური, არამედ ეკონომიური გაფიცვებიც კი. ასეთი ხასიათის გაფიცვების ხელმძღვანელები ისჯებიან 7 წ. კატორღაში გადასახლებით.

რუმინეთი

ახალი პროცესი.

უკანასკნელი დღეების განმავლობაში ბუქარესტში დააპატიმრეს უნიტარულ პროფკავშირების აქტიური მოღვაწე 11 მუშა. ბუქარესტის პროკურატურამ დაპატიმრებულთა წინააღმდეგ აღძრა საქმე და მათ ბრალს სდებს კომუნისტურ პროპაგანდის წარმოებისათვის.

ეგვიპტე

ახალი კანონები.

ეგვიპტის მთავრობა ამზადებს ახალ, განსაკუთრებულ კანონებს რევოლიუციონურ მოძრაობასთან საბრძოლველად. უმაღლეს სკოლების მოწაფეებს აკრძალული აქვთ პოლიტიკური მოღვაწეობის წარმოება. დემონსტრაციებში მონაწილეობა მოწაფისათვის სასტიკად აკრძალულია, ვინც ამას დაარღვევს აპატიმრებენ 6 თვის ვადით და აჯარიმებენ.

ამჟამად ქაირში მიმდინარეობს ვექილების გაფიცვა. ისინი მოითხოვენ უფლებათა განსაზღვრის გაუქმებას და მთავრობის მიერ სასამართლოს საქმეების ჩარევის მოხსნას.

363(∞)(05)
ห 43.

წელიწადი მეექვსე

№ 5
მაისი
∞ 1929 ∞

რემედა

რემედასის საქართველოს ცენტრალურ და ტფილისის კომიტეტების ყოველთვიური ორგანო

პროლეტარიელ ყველა ქვეყნისა, შეერთდით

რედაქციის მისამართი: ტფილისი, კომინტერნის ქ. №5, II-რე სართ.

∞ ტელ. 17 42. ∞

მეხუთეალე სალამი რემედასის ტფილისის სამაზრო-საქალაქო V კონფერენციის დელეგატებს

საქართველოს სახელმწიფო ტფილისი საჯარო ბიბლიოთეკა

ვენი ნაკლი და მიღწევები

მიმდინარე წლის 25 მაისს გაიხსნება რემედასის ტფილისის სამაზრო-საქალაქო მეხუთე კონფერენცია. ჩვენ ვალდებულნი ვართ ამ დღისათვის გადავხედოთ ჩვენს მუშაობას განვლილ პერიოდის განმავლობაში.

უწინარეს ყოვლისა უნდა აღინიშნოს, რომ რემედასის ორგანიზაციის ავტორიტეტი დღითი-დღე იზრდება მშრომელ მასებში. ჩვენი ორგანიზაცია იზრდება, როგორც რიცხობრივად ისე ხარისხობრივადაც. საანგარიშო პერიოდის განმავლობაში რემედასის ტფილისის კომიტეტის მუშაობა იმდენად ნაყოფიერი აღმოჩნდა. რომ დღეს მისი წევრთა რაოდენობა წარსულთან შედარებით 13.653 კაცით გაიზარდა.

ეს ზრდა უმთავრესად ხდებოდა მუშა-მოსამსახურეთა ხარჯზე. რაც შეეხება სოფლად რემედასის ორგანიზაციების მუშაობას უნდა ითქვას, რომ გლეხობის უდიდესი ნაწილი დარჩენილია რემედასის ორგანიზაციის გარეშე.

რემედასის ტფილისის კომიტეტმა თავის დროზე ვერ შესძლო ამ ნაკლისათვის სათანადო ყურადღების მიქცევა. ეს უმთავრესად აიხსნება იმით, რომ ქვემდგომი ორგანიზაცია-უჯრედები ვერ აწვდიდენ ტფილისის კომიტეტს ადგილებზე რემედასის მუშაობის შესახებ სწორ ცნობებს. თუმცა უნდა ითქვას, რომ ამ მხრივ არც ქალაქის ზოგიერთ უჯრედებშია რიგიანად საქმე დაყენებული. დღეს ქალაქის მასშტაბშიაც მოიპოება თითო-ოროლა უჯრედები, რომლებიც ჯერ კიდევ ვერ დაძრულან მკვდარი წერტილიდან. მაგალითისათვის საკმარისია მოვიყვანოთ ის გარემოება. რომ ზოგიერთ უჯრედებისადმი ერთსა და იმავე საკითხზე 5-6 ჯერ მიცემული დირექტივები თავის დროზე არ ტარდებოდა და არც ეხლა ტარდება ალბათ ცხოვრებაში ამავე დროს უნდა აღინიშნოს ის გარემოებაც. რომ ზოგიერთ უჯრედებში დღემდის ვერ მოხერხდა წევრთა სწორი აღრიცხვის ჩატარება; ეს გარემოება კი საგრძნობლად აფერხებს ნაყოფიერ მუშაობას მომავალში.

მიუხედავად ადგილებზე შემჩნეული ზოგიერთ დეფექტებისა რემედასის ტფილისის კომიტეტს საანგარიშო პერიოდის განმავლობაში თვალსაჩინო მიღწევები აქვს. ერთ-ერთ ასეთ მიღწევად უსათუოდ უნდა ჩაითვალოს ზოგიერთ წარმოება-დაწესებულებებში და უმაღლეს სასწავლებლებში რემედასის უჯრედების ჩამოყალიბება. ამის ცოცხალი მაგალითია ტფილისის სახ. უნივერსიტეტი. სადაც მხოლოდ ახლო წარსულში ჩამოყალიბდა რემედასის უჯრედი, რომელიც დღეს აერთიანებს 800 წევრს. ასეთივე უჯრედი ჩამოყალიბდა ტრამვაელთა შორისაც. რომელიც ერთ-ერთ თვალსაჩინო უჯრედათ ითვლება ლენრაიკომის მასშტაბით.

მაგრამ ეს ყველაფერი არაა. ჩვენ დაგვრჩა საბჭოთა საზოგადოებრიობაში ისეთი ნაწილი, რომელიც დღემდის არაა რემედასის დროშის ქვეშ დარაზმული. ეს არის საბინაო-საიჯარო კოოპერატიული კავშირები. აქ აუცილებლად საჭიროა უჯრედების ჩამოყალიბება, სადაც მუშაობაში ჩაბმულნი უნდა იქნან დიასახლისი ქალები. ამას თავის დროზე მიაქცია ტფილისის კომიტეტმა ყურადღება და გამოჰყო მის მოსაგვარებლად სპეციალური კომისია. რომლის მუშაობა უსათუოდ დადებით შედეგებს მოგვცემს.

საანგარიშო პერიოდში შემჩნეული წევრთა რაოდენობის ზრდა გამოიხატა 62.5%, უჯრედთა კი — 35.5%.

ჩვენ ვხედავთ, რომ რემედასის მუშაობა წარსულ წლებთან შედარებით საგრძნობლად გაიზარდა, მაგრამ ამავე დროს ჩვენ ბევრგან საქმე გვაქვს სრულიად უმოქმედო — მკვდარ უჯრედებთან, რომელთა გამოცოცხლება აუცილებლად საჭიროა. რემედასის ტფილისის კომიტეტმა მიაქცია ამას ყურადღება და მიიღო გადაწყვეტილება გაიცხრილოს უჯრედები ე. წ. „მკვდარი ელემენტებისაგან". ეს კი აუცილებლად საჭიროა იმისათვის, რომ მომავალში მუშაობა ჩადგეს ნორმალურ კალაპოტში. ამ ღონისძიებას რემედასის უჯრედები ახლო მომავალში გაატარებენ ცხოვრებაში.

უნდა აღინიშნოს, რომ თუ მხედველობაში არ მივიღებთ, ზოგიერთ უმოქმედო, პასიურ ელემენტებით გავსილ უჯრედებს, საერთოდ ჩვენს რიგებს ემატება მუშე-

ბისა და გლეხების ფართე მასა. სამწუხაროდ ჩვენ არ მოგვეპოება სწორი ცნობები იმის შესახებ, თუ რამდენია ჩვენს ორგანიზაციებში მოჯამაგირეთა რაოდენობა, მაგრამ რაცა გვაქვს იმითაც ადვილად შეიძლება დავასკვნათ, რომ ორგანიზაცია ამ მხრივათაც თვალსაჩინოთ გაიზარდა.

მომავალში ჩვენ უსათუოდ დაგვჭირდება სერიოზული მუშაობის ჩატარება იმისათვის, რომ რემედასის რიგებში ჩავაბათ რაც შეიძლება მეტი ნაწილი მუშების, გლეხების და კომკავშირელი ახალგაზრდობის. ამ უკანასკნელის ჩამოყალიბებას რემედასის რიგებში უდიდესის ყურადღება უნდა მიექცეს.

1929 წ. მარტის 10 უნგრეთის პროლეტარიატის მიერ მოწყობილი ანტიფაშისტური დემონსტრაცია.

საერთოდ ჩვენი მუშაობის ნაყოფიერება დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენად უნარიანია თვით ის აქტივი, რომელიც ხელმძღვანელობს რემედასის ყოველდღიურ მუშაობას. ამ მხრივ წარსულში ჩვენ არ გვქონდა მაინც და მაინც სახარბიელო მდგომარეობა.

ტფილისის რემედასის კომიტეტმა მიაქცია ამას თავის დროზე სათანადო ყურადღება. ის შეეცადა აქტივის ჩამოყალიბებას, მის აღზრდას. ამ მიზნით დაარსდა სპეციალური წრეები, სადაც მიმდინარეობდა მეცადინეობა სათანადოთ დამუშავებული პროგრამის მიხედვით. ამავე მიზნით დაწესებული იქნა აქტივის სხვადასხვა სახის თათბირები და სხვ. ამ თათბირებს უსათუოდ დიდი მნიშვნელობა ჰქონდა, როგორც ცოცხალი ინსტრუქტაჟის, ისე ალმზრდელობის მხრივაც.

ასეთივე წრეების ჩამოსაყალიბებლად სხვა რაიონებშიც გადადგმული იქნა სათანადო ნაბიჯები, მაგრამ შედეგები მაინც და მაინც არ მიგვიღია. საჭიროა ამ გარემოებასაც მიექცეს ყურადღება და ის დაყენებული იქნეს სათანადო სიმაღლეზე.

უნდა ითქვას, რომ პარტიული ორგანიზაციები და მათი ხელმძღვანელი ამხანაგები ზოგან ვერ ექცევიან სათანადო ყურადღებით რემედასის მუშაობას. ეს აიხსნება ერთის მხრით იმით, რომ ისინი ჯერ კიდევ სათანადოთ ვერ აფასებენ რემედასის უდიდეს მნიშვნელობას დღევანდელ პირობებში, მეორეს მხრით ამაში დამნაშავენი არიან თვით ჩვენი, რემედასის ხელმძღვანელი ამხანაგები, იმიტომ, რომ მათ ხშირად არც კი იციან კარგად, თუ როგორი სახის დახმარება უნდა მოსთხოვონ ძირითად პარტიულ ორგანიზაციებს. ამას სასტიკი ბრძოლა უნდა გამოეცხადოს. უნდა გვახსოვდეს, რომ თვით ჩვენი უჯრედებისაგან არის დამოკიდებული პარტხელმძღვანელობის სათანადო სიმაღლეზე დაყენება. ეს ნაკლი უნდა გამოსწორდეს.

არ შეიძლება ითქვას, რომ რემედასის მუშაობას არ ჰქონდეს მასიური ხასიათი, პირიქით, ის თავისი მუშაობის შინაარსით სავსებით ეყრდნობა ამას. მაგრამ ამ მუშაობის ჩატარების მეთოდებს კი უსათუოდ შეცვლა დასჭირდება მომავალში, წინააღმდეგ შემთხვევაში ძნელია რაიმე შედეგების შესახებ ფიქრი. ჩვენ ამით იმის თქმა კი არ გვინდა, თითქოს რემედასის ტფილისის კომიტეტს ამ მხრივ არ ჰქონდეს შესაფერისი მიღწევები, პირიქით — მიღწევები არის, მაგრამ საჭიროა ამისი უფრო გაღრმავება.

ეხლა გადავიდეთ ფინანსიურ მდგომარეობაზე. თუ ჩვენ გადავხედავთ სამი უკანასკნელი წლის განმავლობაში თანხების დანიშნულებისამებრ გაადგზავნის ცხრილს, შემდეგს დავინახავთ: 1926 წ. რემედასის საქართველოს ც. კ. გადაიგზავნა 9.154 მ. 86 კ., 28 წ. — 19.417 მ. 66 კ., ხოლო 29 წ. პირველ იანვრიდან დღემდე კი — 12000 მან. 9 კაპ. ამაში არ შედის ლიტერატურიდან და უკანასკნელი კამპანიის ჩატარების დროს დარჩენილი 5.000 მან., რომელიც მოკლე ხანში უნდა მივიღოთ.

ამრიგად უნდა ითქვას, რომ საანგარიშო პერიოდის განმავლობაში ჩვენი მუშაობა ნაყოფიერად მიმდინარეობდა, მაგრამ ნაკლიც ბევრი გვქონდა. კონფერენციამ ჯამი უნდა გაუკეთოს მთელს ჩვენს მუშაობას განვლილი პერიოდის განმავლობაში და მომავალში რემადასის მუშაობის უფრო ნაყოფიერად ჩასატარებლად უნდა გამოიმუშაოს სათანადო მეთოდები.

კონფერენციამ ჯეროვანი ყურადღება უნდა მიაქციოს რემედასის წინაშე წამოჭრილ ამოცანებს და ჩვენი აქტივი ენერგიულად უნდა შეუდგეს მის ცხოვრებაში გატარებას.

მ. ცქვიტინიძე.



საფრანგეთის კომპარტიის VI ყრილობა. სურათზე — ყრილობის პრეზიდიუმი.

ბავშთა საერთაშორისო კვირეული

უძლიერესი ნებისყოფით, სიყვარულით და კლასობრივი შეგნებით არიან შეკავშირებულნი ერთ მთლიან ოჯახში მთელი ქვეყნის კომუნისტური ახალგაზრდობა, პიონერები და რემედასელები. ერთი შეგნება ამოძრავებს ყველა ქვეყნის რევოლიუციონურ ახალ თაობას, რომელიც ცოცხალი მოწმეა საერთაშორისო კლასობრივი ბრძოლის. ჩინეთის ახალგაზრდობის ინტერესები ახლოსაა ინგლისის ახალგაზრდობის საარსებო ინტერესებთან. ჩვენი უდიდესი კავშირის პიონერთა გამოძახილს მკვირცხლად და ერთსულოვნად უპასუხებენ გერმანიის პიონერები და ასე შემდეგ.

რა ამოძრავებს ამ უამრავ ახალგაზრდობას?

კაპიტალსა და შრომას შორის დაწყებული უდიდესი ბრძოლა, რომელიც დღითი-დღე მწვავდება და ღრმავდება; ძლიერი ბურჟუაზიული ქვეყნების შემოტევა მუშათა კლასსზე, უკანასკნელის გაუგონარი ექსპლოატაცია. იმპერიალისტური ომის წამოსაწყებად წარმოებული სამზადისი და ამ ნიადაგზე მთელ რიგ ქვეყნებში დაწყებული გაფიცვები, რომელსაც არ უჩანს დასასრული და სხვ. აი რა აღელვებს და რა ამოქმედებს ეგრე თავგანწირვით საერთაშორისო ახალგაზრდობას!

სიმშილი, უმუშევრობა, ავადმყოფობა, სიღარიბე-სიღატაკე, ამ თავგანწირული ბრძოლის ქარცეცხლში ჩაბმული მუშათა კლასის მუდმივი თანამგზავრია. ეს კიდევ ცოტაა. ადამიანურ უფლებებისათვის მებრძოლი მუშათა კლასის საუკეთესო წარმომადგენლები ყოველწლიურად ასობითა და ათასობით იღუპებიან კაპიტალისტების მიერ დაქირავებულ ბანდებისაგან გასროლილი მახვილით, რომელიც შეურყეველ დარაჯად სდგას დემოკრატიულ „სამოთხის“ გასამაგრებლად.

ცხოვრების ამ სკოლაში სწავლობს თანამედროვე ახალგაზრდობა. ახალგაზრდა 12 — 15 წლის ყმაწვილი დღეს ჩინებულად არჩევს მტერსა და მოყვარეს ერთიმეორისაგან. ახალგაზრდობისათვის, რათა ის იყოლიოს თავის გავლენის ქვეშ — არაფერს არ ზოგავს ბურჟუაზია. სასულიერო სკოლები, პატრიოტული სასპორტო საზოგადოებები, ფაშისტური ქსელები, ყოველ ფეხის გადადგმაზე აჩლუნგებენ ახალგაზრდობის გონებას, მაგრამ მიუხედავად ყოველივე ამისა ეს მდგომარეობა საუცხოვო ნიადაგს ამზადებს ახალგაზრდობის ერთ მტკიცე რიგებში დასარაზმავად კაპიტალისტურ წყობილებაზე სასტიკი იერიშის მისატანად.

მთელ რიგ ქვეყნებში, სადაც უკვე ჩამოყალიბებულია და ორგანიზაციული სახე აქვს ახალგაზრდათა მოძრაობას ბავშთა საერთაშორისო კვირეულში მონაწილეობის მისაღებათ გამოვა ყველა, როგორც ერთი კაცი. ის ამ კვირეულის განმავლობაში გამოეფინება ქუჩებში, მოედნებზე და მწყობრად რიგში ჩადგება იმ ბრწყინვალე დროშის ქვეშ, რომელზედაც აწერია: „ძირს სასულიერო სკოლები, ძირს ცემა-ტყეპის სისტემა სკოლებში“. „ძირს ნაციონალური უთანხმოება, მოგვეცით ეროვნული სკოლა“.

ამრიგად ყველა ქვეყნის ახალგაზრდობას ერთი მიზანი ექნება ამ დიად დღეს. ისინი დაინტერესებულნი არიან, რაც შეიძლება უფრო ღრმად შეიჭრან საბჭოთა კავშირის სინამდვილეში, სადაც ყველა ეს საკითხები დიდი ხანია ღირსეულად მოაგვარა ჩვენი ქვეყნის გამარჯვებულმა პროლეტარიატმა.

ისინი ამ კვირეულის განმავლობაში სიმღერებს უგალობენ თავთავიანთ ენებზე საბჭოთა დიდ კავშირს, რო-

რევოლიუციისათვის ბრძოლაში დაღუპულთა უპატრონოდ დარჩენილი ბავშები გერმანიის რემედასის სექციის საბავშო სახლში.

მელიც გამომსახველია საერთაშორისო მუშათა კლასის ერთსულოვნებისა და ძლევამოსილებისა.

რეინ-ვესფალდში გაფიცულ მუშების ბავშები.

ბრწყინვალედ და აღტაცებით უნდა ჩატარდეს ჩვენში ბავშთა საერთაშორისო კვირეული. მაგრამ ჩვენმა ბავშებმა ამ კვირეულის განმავლობაში უნდა გამოამჟღავნონ არა მარტო თავიანთი ერთსულოვნება საერთაშორისო პროლეტარულ ბავშებისადმი — არამედ მათ უნდა მოაგონონ უფროს ამხანაგებს იმ მძიმე და აუტანელ პირობების შესახებ, რომელშიაც ცხოვრობენ ყველა კაპიტალისტურ ქვეყნებში მებრძოლ მუშების შვილები. მიუხედავად იმისა, რომ მამები ცოცხლები ჰყავთ კაპიტალისტურ ქვეყნებში მილიონობით ყრია უპატრონოდ და ობლად მიტოვებული ბავშები, ვინაიდან მათი ერთად-ერთი მარჩენალი და აღმზრდელი საპყრობილეში ჰყავს მოქცეული კაპიტალისტურ წყობილებას. ამ ბავშებს ესაჭიროებათ მუდმივი დახმარება და ხელისშეწყობა, რომ მომავალ ბრძოლებისათვის გადავარჩინოთ ცოცხალი ძალები. გამხეცებული ბურჟუაზიულ ბანდებს ჩვენ არ უნდა მივსცეთ მათი ფიზიკურად განადგურების საშუალება.

ეხლა ჩვენ, რემედიელები ვატარებთ „დაღუპულ ან საპყრობილეებში გამომწყვდეულ რევოლიუციონერთა ბავშების დახმარების კვირეულს". კვირეულის განმავლობაში ჩვენ გვმართებს ქალაქისა და სოფლის მშრომელი მოსახლეობის ფართე მასების ყურადღება მივაქციოთ უცხოეთში მებრძოლ მუშების დახმარებას, რათა ამ უკანასკნელებს აღმოეჩინოს ყოველგვარი მატერიალური და მორალური დახმარება. საჭიროა ყველგან ჩატარებული იქნეს მოხსენება, საუბრები, სადაც უნდა გაშუქდეს კაპიტალისტურ წყობილების მძიმე პირობებში მცხოვრებ ბავშების ყოფა-ცხოვრება. ამ კამპანიის ჩატარების დროს სამხატვრო ნაწილში ჩაბმული უნდა იქნეს მუშათა მომღერალი გუნდები, სასპორტო ჯგუფები და სპექტაკლები და სხვ. და სხვ. აუცილებლად საჭიროა ამავე დროს მოეწყოს სპეციალურად ბავშთა დასახმარებლად ნებაყოფლობითი შემოწირულებათა შეგროვება, როგორც ქალაქად, ისე სოფლად. კვირეულის განმავლობაში უნდა შეიქნეს ფონდი ბავშთა კოლონიებისა და სახლების მოსაწყობათ.

საზღვარგარეთ არის ბავშთა ასეთი სახლები, მაგრამ ეს წვეთია ზღვაში, როცა მარტო 1926 წ. განმავლობაში დაპატიმრებული რევოლიუციონერების რაოდენობა 329.560 უდრის. აქედან ცხადია უპატრონოდ დარჩენილ ბავშთა რაოდენობა მილიონამდე მიაღწევს. საჭიროა ამათზე მზრუნველობის გამოჩენა.

კვირეულის განმავლობაში საჭიროა მსხვილ წარმოებებისა და შეძლებული სოფლების მიერ აღებულ იქნეს შეფობა საბავშო სახლებზე, ან მზრუნველობაზე იქნეს აყვანილი ბავშთა საწოლები. ამ საქმეში უდიდესი აქტივობა უნდა გამოიჩინონ ქალებმა.

ჩვენი ვალია ყოველმხრივად ვიზრუნოთ შორეულ კაპიტალისტურ ქვეყნებში უპატრონოთ მიტოვებულ ბავშებზე და თუ ამ საქმეში შესაფერის ღონისძიებებს ვერ გამოიჩენენ ჩვენი უფროსი ამხანაგები, ბავშები ვალდებულნი არიან მოაგონონ მათ, რომ ეს ამოცანა სრული ასი პროცენტით უნდა იქნეს შესრულებული.

• დავეხმაროთ რევოლიუციისათვის მებრძოლთა ბავშებს, ამით ჩვენ მოვიხდით მოვალეობას ჩვენი მოზარდი თაობის წინაშე.

პ. ა — ძე.

რემედასის საბავშო სახლები

ბავშთა დახმარების ერთ-ერთ უმთავრეს ფორმას წარმოადგენს რემედასის ბავშთა სახლების ჩამოყალიბება. როგორც ვიცით გერმანიაში უკვე არსებობს რემედასის ორი საბავშო სახლი. ერთი არის — საბავშო სახლი „ბარკენგოფი" ვორპსვედში, ხოლო მეორე კი საბავშო სახლი „რემედასი" არის ელგერსბურში (ტიურინგია). ორივე ისინი არსებობენ რემედასის აღმასკომის ხარჯზე.

გერმანიის მთავრობა არა ერთხელ ლამობდა ამ სახლების მოღვაწეობის აღკვეთას. პრუსიის ხელისუფლებას ორჯერ ჰქონდა განზრახული რემედასის საბავშო სახლი „ბარკენგოფი" დაეხურა. პირველად ხელმძღვანელობდა იმ მოსაზრებით, რომ აქ ბავშები კომუნისტურ აღზრდას ითვისებენო, მეორედ იმ მოსაზრებით, რომ სახლის მხატვრობა, რომელიც შესრულებულია კომუნისტ მხატვრის ჰენრიხ ფოგელერის მიერ ცუდათ „მოქმედობს" მოზარდთა გონებაზეო. ამ მოსაზრებას ამტკიცებდენ იმით, რომ ეს მხატვრობა შესრულებული არის კომუნისტურად. მხოლოდ მშრომელთა მასიური პროტესტების წყალობით, რომელსაც მიემხრო მშრომელი და მოწინავე ინტელიგენციის დიდი უმრავლესობა შესაძლებელი გახდა ამ საზიზღარი განზრახვის შეჩერება და ბავშთა სახლის ისევ დატოვება.

ელგერსბურგში საბავშო სახლი „რემედასი"-ს დასაარსებლად მთავრობა დიდხანს არ იძლეოდა ნებართვას.

ამის შემდეგ დაიწყო უცნაური შევიწროებანი. სრულიად მოულოდნელად მოხსნეს ბავშებისათვის რკინის გზებზე შელავათიან ფასებში მგზავრობის საშუალება. კრძალავდენ ამასთანავე ერთად დახმარების სახით ფულის შეგროვებას. ეს მაშინ, როცა ბურჟუაზიულ საზოგადოებათა სასარგებლოდ ფულის შეგროვებას ყოველთვის ხელს უწყობენ და სიამოვნებით ატარებენ. ბავარიაში აქტივისტი რემედასელები, რომლებმაც ადგილობრივ თვითმართველობას მიმართეს საბავშო სახლებისათვის დახმარებათა გაღების შესახებ, პასუხისგებაში იქნენ მიცემულნი. ბავარიელი რევოლიუციონერთა ბავშები მთელი წლის განმავლობაში შეუპოვარი ბრძოლის შემდეგ ძლივს ღებულობდენ სახლებში მოთავსების ნებართვას.

რემედასის საბავშო სახლებს უდიდეს ყურადღებას აქცევენ მშრომელი მასები. ყოველდღე ელგერსბურგის ბავშთა სახლში 100 მეტი მუშა მოდის, რომლებსაც აუარებელი სურსათ-სანოვაგე და სხვა საჭიროები მოაქვს ბავშებისათვის. გასული წლის ივლისის 24 ვორპსვედის ბავშთა სახლის სასარგებლოდ გაიმართა „ბავშთა სახლის დღე", რომელშიაც მონაწილეობდა 20.000 მეტი მუშა და მუშა ქალები ახლო მდებარე ადგილებიდან.

ორივე ამ საბავშო სახლებში თავს აფარებენ არა მარტო გერმანელი ბავშები, არამედ იქ რამდენიმე თვის განმავლობაში მოხვდა 75 ავსტრიელი და 33 ბულგარელი რევოლიუციონერთა ბავშებიც. უკანასკნელად ბულგარელი ბავშები გამოემგზავრენ ს. ს. რ. კ.

1923 — 1928 წ. განმავლობაში ორივე საბავშო სახლში გამოიარა 1000 ბავშმა, მათ შორის ვაჟები — 513, ხოლო ქალები კი — 487. აქედან — 420 ბავშის დედა ან მამა მოკლულია შეტაკებების დროს.

საბავშო სახლები არსებობს იტალიაში, პოლონეთსა და პორტუგალიაში, მაგრამ ფაშისტების მიერ ისინი დახურული იქნენ. დღეს ცდილობენ მოაწყონ რემედასის საბავშო სახლები, მექსიკაში, ჩეხო-სლოვაკიასა და შვეიცარიაში. მექსიკაში საბავშო სახლი გაიხსნება უახლოეს ხანში. ჩეხო-სლოვაკიაში იყიდება სპეციალური მარკები, რომლის შემოსავალი მთლიანად უნდა მოხმარდეს საბავშო სახლის დაარსებას. სახლისათვის საჭირო მიწა უსასყიდლოთ გაღებული იქნა ერთ-სასპორტო ორგანიზაციის წევრი მუშის მიერ.

ბავშთა სახლების ჩამოყალიბებასთან ერთად სწარმოებს ბავშების განაწილება ორ-ორი კვირის ვადით მუშათა ოჯახებში. ამრიგად ვენის ამბების დროს დაღუპულ მუშების 65 ბავში განაწილებეული იქნა ბერლინელ მუშების ოჯახებში. 1923 — 1928 წ. წ. განმავლობაში 400 ბავშმა შეაფარა ორი თვის ვადით თავი მუშების ოჯახებში.

მიუხედავად იმ უდიდესი თანაგრძნობისა, რომელსაც დაღუპულ და საპატიმროებში მოქცეულ რევოლიუციონერების ბავშების მიმართ იჩენენ მუშების ოჯახები უნდა აღინიშნოს, რომ ჯერ კიდევ ყველა ბავში არაა დაკმაყოფილებული. ამრიგად პოლონეთის „წითელ დახმარება"-ს არა აქვს საშუალება თითეულ ბავშზე დახარჯოს თვეში 2 მანეთზე მეტი. ცოტა უკეთ არის ამ მხრივ საქმე სხვა ქვეყნებში.

ელგერსბურგის (გერმანია) რემედასის ბავშთა სახლი, სადაც თავს აფარებენ რევოლიუციონერთა ბავშები.

თუ გავითვალისწინებთ იმ საშინელ შედეგებს, რომელიც მუშათა კლასის წინააღმდეგ ფაშისტების შეტევას მოსდევს კაპიტალისტურ და კოლონიალურ ქვეყნებში, ჩვენთვის ნათელი გახდება, თუ რამდენად აუცილებელია რევოლიუციონერთა ბავშებისადმი დახმარების აღმოჩენა. რემედასმა აქტიურად უნდა ჩაბას თავისი წევრები ამ ამოცანის პრაქტიკულად განხორციელებაში.

რ. ბელკე.



გერმანელი პიონერები, რომლებმაც აქტიური მონაწილეობა მიიღეს ნაღმოსანის აგების წინააღმდეგ მიმართულ კამპანიაში.

ბურჟუაზია თესავს თეთრ ტერორის საშინელებას, რომლის სამაგიეროს მოიმკის საერთაშორისო პროლეტარული რევოლიუციის გამარჯვების დროს.

პრესა საბჭოთა კავშირში და საზღვარგარეთ

(პრესის დღის — 5 მაისის გამო).

1914 წ. 5 მაისს. ბოლშევიკური გაზეთ „პრავდა"-ს თაოსნობით რუსეთში პირველათ იქნა ჩატარებული მუშური პრესის დღე. ამ დღის ჩატარება თავის მიზნად ისახავდა მუშა მკითხველ მასებთან კავშირისა და „პრავდა"-ს „რკინის ფონდი"-ს გაძლიერებას, რომელიც არა ერთხელ იყო დაჯარიმებული და რომელსაც ხელისუფლებამ ჩამოართვა მთელი ქონება.

მიმდინარე წლის მარტის 25 საფრანგეთის პოლიციამ გასჩხიკა საფრანგეთის კომპარტიის ორგანოს „ჰიმანიტე"-ს რედაქცია. სურათზე — რედაქციის კანტორა გაჩხრეკის შემდეგ.

იმპერიალისტური ომის დაწყებისთანავე „პრავდა" დარბეული იქნა. მუშური პრესის დღის ჩატარების შესახებ ყოვლად შეუძლებელი იყო ფიქრი, ვინაიდან ის სრულიად ჭერქვეშ მოექცა. ოქტომბრის რევოლიუციის პირველ წლებში, როგორც ვიცით, სწარმოებდა სამოქალაქო ომი და ამავე დროს გვიხდებოდა მუშურ-გლეხური პირველი სახელმწიფოს დაცვა გარეშე მტრის შემოტევისაგან. მხოლოდ 1922 წ., სრული 8 წლის შემდეგ ისევ გახდა შესაძლებელი გვედღესასწაულა ეს დღე „პრავდა"-ს არსებობის 10 წლის თავზე.

ამ დღიდან 5 მაისი ითვლება ს. ს. რ. კ. მშრომელთათვის ერთ-ერთ მეტად მნიშვნელოვან დღესასწაულად, ამ დღეს ჩვენი ქვეყნის მუშათა კლასი ჯამს უკეთებს პრესის ფრონტზე ჩვენს მიღწევებს. მეფის მთავრობის მიერ იმ დროს დევნილი მცირეოდენი მუშური გაზეთების ნაცვლად დღეს ჩვენ ქვეყანაში უაღრესად გაძლიერებული მუშური პრესა გვაქვს, რომელიც ყოველწლიურად და ყოველდღიურად სულ უფრო და უფრო იზრდება და მტკიცდება. დღეს ს. ს. რ. კ. სამჯერ მეტი რაოდენობის გაზეთი ვრცელდება ვინემ მეფის რუსეთში ვრცელდებოდა. ამასვე უნდა მიემატოს ათასსზე მეტი ჟურნალები და ათიათასობით წიგნები, რომელსაც სისტემატიურად სცემენ ჩვენი კავშირის სახელმწიფო გამომცემლობები. დღეს ჩვენს ქვეყანაში მუშური პრესა მუშაობს 49 ენაზე.

ს. ს. რ. კ. პრესა მუშათა კლასის განკარგულებაშია, რომელმაც ის გადააქცია საბჭოთა კავშირის სამეურნეო და კულტურულ-სოციალისტური აღმშენებლობის უძლიერეს იარაღად.

ყველა სხვა დანარჩენ ქვეყნებში ფაშისტური იტალიიდან მოკიდებული გათავებული „ფართე დემოკრატიული ქვეყნებამდე", როგორიცაა — ინგლისი, საფრანგეთი და ამერიკა, ჟურნალ-გაზეთებისა და წიგნების გამომცემლობანი ეკუთვნიან კერძო კაპიტალისტებს, ან საგაზეთო ტრესტებს, რომელთა განკარგულებაშიაც არიან ათეული და ასეული გამომცემლობანი. კაპიტალისტური პრესის ორგანოები უდიდეს საშემოსავლო წყაროდ ითვლება თავიანთი მეპატრონეთათვის. ისინი მოგებას ღებულობენ არა მარტო გაზეთის გაყიდვით შემოსული თანხებიდან, არამედ ამ გაზეთების ფურცლებზე სხვადასხვა მასალებისა და სტატიების მოთავსებისათვის, რომელსაც ისინი ღებულობენ ამ საქმით დაინტერესებულ ფირმებისაგან. ხშირად ისინი საგრძნობ თანხებს ღებულობენ გაჩუმებისთვისაც კი.

ძალიან ხშირად ამა თუ იმ ქვეყნებში სანამ შესაძლებელია მალავენ მეტად ამაშფოთებელ ამბებს, რაც დაკავშირებულია გაზეთების მოსყიდვასთან. გასული წლის დასაწყისსა და ბოლო რიცხვებში საფრანგეთში გახსნილი იქნა ორი შემაძრწუნებელი ამბავი გაზეთ „კ ო ტ ი-დ ი-ე ნ ს ა" და „დ ე-ფ რ ა ნ კ ს"-ის ირგვლივ. პირველი „მემარცხენე" გაზეთის რედაქცია შანტაჟს აწყობდა ერთ-ერთ საავტომობილო ფირმის ირგვლივ, რომლისაგანაც ის ცდილობდა ქრთამის აღებას. მეორე გაზეთი კი, რომელსაც მფარველობდა საფრანგეთის მთავრობის თვალსაჩინო წარმომადგენლები, მოგების აღების მიზნით გაზეთის მთელ გვერდებს აძლევდენ ფინანსისტებს. ყველა ამ ამბების გამოაშკარავებამ საფრანგეთის ხელისუფლება აიძულა საპატიმროებში მოეთავსებია მთელი რიგი ცნობილი პირები, ამ გაზეთის მეპატრონის ქ-ნი ანნოდან დაწყებული და გათავებული ფინანსისტებითა და გამოჩენილი სახელმწიფო მოღვაწეებით.

კაპიტალისტურ გაზეთებში წარმოებული მიმართულებანი უმთავრესად გამომდინარეობენ სხვადასხვა კაპიტალისტური დაჯგუფებათა შორის არსებული უთანხმოებისაგან. მაგრამ მიუხედავად ამისა ყველა ისინი ატარებენ ერთსა და იმავე პოლიტიკას, რომელიც ხელს უწყობს არსებული ბურჟუაზიული ხელისუფლების განხანგრძლივებას ყველა ისინი ერთსულოვნად მოქმედებენ, როცა საქმე ეხება კაპიტალისტური რაციონალიზაციას, ხელფასს და მუშათა კლასის შრომის პირობებს. ყველა ისინი ჩინებულად ასრულებენ საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ მიმართულ ცილისწამების კამპანიას, და ხელს უწყობენ ს. ს. რ. კ. წინააღმდეგ იმპერიალისტების მიერ განზრახულ ომის მოახლოვებას.

ამ ჯალათთა ხროვას ყოველმხრივ დახმარებას უწევენ სოციალ-დემოკრატიული პარტიის პრესის ერთგული თანამშრომლები. ამ მიმართულებით პირველ რიგში მიემართება გერმანიის სოციალ-დემოკრატიის ცენტრალური ორგანო „ფორვერსტი". ის სისტემატიურად, ყოველ დღე ათავსებს ყალბ ცნობებს ს. ს. რ. კ., კომინტერნის და გერმანიის კომპარტიის შესახებ. გერმანიის რევოლიუციის პირველ დღეებიდანვე „ფორვერსტი" გაჰკივის რევოლიუციონურ მუშათა კლასის საქმისათვის თავდადებულ გმირების განადგურების შესახებ. მასვე მიუძღვის უდიდესი დანაშაული კარლ ლიბკნეხტის, როზა. ლიუქსენბურგისა და სხ. მკვლელობაში. ვინაიდან მისი ფურცლებზე გერმანიის სოციალ-დემოკრატიული პარტია განაგრძობდა საშინელი ცილისწამების კამპანიას ამ რევოლიუციონურ მუშათა კლასის წარმომადგენლების წინააღმდეგ.

ამავე დროს აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ 9—10 მარტს მოწვეულ საერთაშორისო ანტიფაშისტურ კონგრესის წინააღმდეგ გააფთრებულ კამპანიას აწარმოებდა II-ე ინტერნაციონალი თავისი პრესის საშუალებით, რომელმაც ეს კონგრესი მონათლა კომუნისტური პარტიის საქმიანობათ. მიუხედავათ ამისა მათ ველარ შესძლეს ამ კონგრესის ჩაშლა. ეს კონგრესი ბრწყინვალეთ იქნა ჩატარებული მასში კომუნისტებთან ერთად აქტიურ მონაწილეობას იღებდენ როგორც უპარტიო მასების, ისე სოციალ-დემოკრატიული პარტიის წარმომადგენლებიც.

ის „პრესის თავისუფლება" რომლის შესახებ ლაპარაკია ბურჟუაზიულ-დემოკრატიულ სახელმწიფოების კონსტიტუციაში არ ვრცელდება რევოლიუციონურ მუშათა კლასის პრესაზე, განსაკუთრებით კი კომპარტიისა და კომკავშირის ორგანოებზე. ამავე მდგომარეობაში არის პროფკავშირთა და სხვა მშრომელ მასების ორგანოები. მუშათა და გლეხთა ჟურნალ-გაზეთები განიცდიან საშინელ დევნასა და შევიწროებას იმ ენერგიული მუშაობისათვის, რომელსაც ისინი ატარებენ ბურჟუაზიისა და მისი ერთგული დამქაშების სოციალ-დემოკრატიული პარტიის წარმომადგენლების საზიზღარი მოღვაწეობის სააშკარაოზე გამოსატანად.

იმ ქვეყნებში, სადაც კომუნისტური გაზეთები ლეგალურად გამოდის ცოტათი უკეთესი პირობებია ვინემ ფაშისტურ ქვეყნებში. საფრანგეთში კომპარტიის ორგანო „ჰ ი უ მ ა ნ ი ტ ე"-ს და კომკავშირის ორგანო „ა ვ ა ნ გ ა რ დ"-ს ყოველწლიურად 30 — 40 პროცესები აქვს, რომელიც თავდება ბრალდებულთა არა მარტო საპატიმროებში დიდი ხნის ვადით დამწყვდევით, არამედ უდიდესი ჯარიმების გაწერით აღნიშნული ორგანოების, როგორც რედაქტორებზე, ისე მის თანამშრომლებზე. ამ ჯარიმების მიზანია ეკონომიურად დააუძლურონ მუშათა რევოლიუციონური პრესა. უკანასკნელ ხანებში, მარტის 25 პარიზის პოლიცია თავს დაესხა „ჰ ი უ მ ა ნ ი ტ ე"-ს რედაქციას, რომლის დროს ადგილი ჰქონდა რედაქციაში მაგიდების, სკამების და სხვა დგამების დამტვრევას. „ჰ ი უ მ ა ნ ი ტ ე"-ს და ანტიმილიტარისტული ორგანოს „კ ა ზ ე რ ნ"-ის რედაქციები პასუხისგებაში არიან მიცემულნი იმ საიდუმლო საბუთების გამოქვეყნებისათვის, რომლებიც ნათელს ჰფენენ გენერალ ფოშის საომარ გეგმებს, რომელიც მიმართული იყო საბჭოთა კავშირისადმი.



პარიზის კომუნის ვეტერანები 24 მარტის ჩვეულებრივ შეხვედრაზე. სურათზე მარცხნიდან მარჯვნივ სხედან: **რენიმე, კაველინა, იოვენი,** და **ლეჟენი.**

ჩეხოსლოვაკიაში გაზეთ „ინტერნაციონალი" და „კემპფერ" 1928 წ. განმავლობაში 40-ჯერ იყო პასუხისგებაში მიცემული. სამხრეთ-სლავიაში, გაზეთი „ბრძოლა"-ს 1928 წ. 35 ჯერ უყვეს კონფისკაცია. პოლონეთის ფაშისტური მთავრობა არ კმაყოფილდება დამნაშავეთა დევნითა და პოლიციელების მიერ შემოღებული რეპრესიებით. გასულ წლის მიწურულში პოლონეთის ოხრანკამ ქ. ლვოვში თავდასხმები მოუწყო პრესას.

1928 წ. განმავლობაში კაპიტალისტურ, კოლონიალურ, თუ ნახევრად კოლონიალურ ქვეყნებში აკრძალული იქნა 1.130 ჟურნალი და გაზეთი. ასეთია დაახლოვებით ის პირფერული „პრესის თავისუფლება", რომელიც „გათვალისწინებულია" ბურჟუაზიული იუსტიციის კანონმდებლობაში და რომელსაც არაფერი აქვს საერთო რეალურ ცხოვრებასთან.

ვ. ლინსკი.



საფრანგეთის კომპარტიის ყრილობის დროს სენ-დენში (პარიზის გარეუბანია) პოლიციის სამმართველოს ეზოში მორიგეობდენ საბარგო ავტომობილები პოლიციელთა გადასაყვანად სხვადასხვა მუშურ უბნებში, თუ ამას მოითხოვდა საჭიროება.

თეთრი ტეროري ინდოეთში

ინდოეთი ახალი უდიდესი რევოლიუციონური ამბების წინაშე სდგას. უკანასკნელი წლების განმავლობაში მთელს მხარეში ადგილი ჰქონდა უდიდეს გაფიცვებს. მთელი ამ მხარის უმთავრეს სამრეწველო ცენტრებს, როგორიცაა— ბომბეი, კალკუტა და გადრასი მოედო გაფიცვის ტალღები. საგაფიცვო მოძრაობის საწინააღმდეგოთ ბრიტანეთის მთავრობამ მოითხოვა შეირაღებული პოლიცია და სამხედრო ნაწილები, რომელმაც უდიდესი ზიანი მიაყენა გაფიცულებს.

ინდოეთში ბრიტანეთის მთავრობის ბრძანებით არაერთხელ ჰქონია ადგილი ხოცვა-ჟლეტას. ალბათ ყველას ახსოვს 1919 წ. ამნიტსარეში მომხდარი ამბები, სადაც დაეცა 500 დახოცილი და 1500 დაჭრილი, რომელთა შორის ძალიან ბევრი იყვენ ბავშები და ქალები. დღეს კი ბრიტანეთის მთავრობამ ისევ მოიმარჯვა თავისი ბრძოლის მეთოდები. ის ისევ ჯავშნოსან ავტომობილებითა და ტყვიამფრქვევლებით ეკვეთა ორგანიზაციულად დარაზმულ პროლეტარიატის ეკონომიურ ბრძოლას.

ამ ახალი რეპრესიული ზომებით აღშფოთებული მუშათა მასები სწრაფად ყალიბდებიან რევოლიუციონურ რიგებათ და სულ მარცხნივ მიემართებიან. ისინი ირაზმებიან პროფკავშირების ირგვლივ რომელიც „წითელი დროშის" სახელწოდებას ატარებენ. ეს გამოწვეულია იმ გარემოებით, რომ პროფკავშირების სასახლის თავზე ამაყად ფრიალებს წითელი დროშა, რომელსაც ეს მტკიცე რიგებათ ჩამოყალიბებული მუშათა ორგანიზაციები ატარებენ დემონსტრაციების დროს.

ორიოდე წლის წინათ არც კი იყო ისეთი პროფკავშირი, სადაც კომუნისტებს უნდა ჰქონოდათ ყველაზე მეტი ადგილი. დღეს ბურჟუაზიულ რეფორმისტული ლიდერები პროფკავშირებში უმთავრეს შემთხვევაში შეცვლილი იქნენ კომუნისტებისა და იმ მუშების მიერ, რომლებიც სარგებლობენ მუშების ნდობითა და სიმპატიით. ამრიგად ბომბეიში მუშა მქსოველთა გაფიცვები, რომელიც გაგრძელდა მთელი ხუთი თვის განმავლობაში მიმდინარეობდა კომუნისტების უშუალო ხელმძღვანელობით. კომუნისტური პარტიის ასეთი უჩვეულო გავლენა მუშათა მასებზე სიმშვიდეს უკარგავს ბრიტანეთის მთავრობას, ინგლისის სოციალ-დემოკრატიას და ინდოეთის ბურჟუაზიას.

ამ ქვეყნის მრავალმილიონიანი გლეხობა, სოფლის ღარიბ-ღატაკნი, ინტელიგენციის უდიდესი ნაწილი, უმუშევრებთან და სტუდენტებთან ერთად თანდათან თავს აღწევენ ბურჟუაზიის გავლენას, რომლის იმპერიალისტებთან კავშირი და ყოველგვარი შეთანხმებანი აუცილებელია ყველასათვის. იმპერიალიზმის წინააღმდეგ რევოლიუციონური ბრძოლის ხელმძღვანელობა თანდათან გადადის პროლეტარიატის ხელში. ინდოეთის დიდი ქალაქის ქუჩები აჭრელებულია პროლეტარიატის მიერ წამოსროლილი რევოლიუციონური ლოზუნგებით. უნდა აღინიშნოს, რომ ინდოეთის პროლეტარიატი ჯერ კიდევ სათანადოთ ვერაა შეკავშირებული, მაგრამ ჩვენ ხელთ არის უტყუარი საბუთები იმისა, რომ ეს არც ისე შორსაა.

დიდი ბრიტანეთის სისხლიანი იმპერიალზმი ჯერ-ჯერობით მაგრად გრძნობს თავს, მან საგრძნობლად გააუმჯობესა ტექნიკურად თავისი ჯარის მდგომარეობა, გააფართოვა საჰაერო არე, გააუმჯობესა სამხედრო სტრატეგიული ურთიერთობანი და საჭიროების დროს თამამად შეუძლია სამხედრო ძალა გადაასხას ინდოეთის რევოლიუციონური მოძრაობის გასანადგურებლად და ს. ს. რ. კ. წინააღმდეგ გასალაშქრებლად.

ჯერჯერობით კი ის მოქმედობს ე. წ. „სამოქალაქო მმართველობის" მეთოდების თანახმად, რომელიც მიმართულია რევოლიუციონური მუშათა კლასის წინააღმდეგ.

1923 წ. ოქტომბერში „ვასერკანტე"-ს რაიონში აჯანყებულთა ბავშები ელგესბურგის (გერმანია) რემედასის სახლში გადაგზავნის წინ.

უკანასკნელი 6 თვის განმავლობაში ბრიტანეთის მთავრობა ცდილობდა საკანონმდებლო ორგანოებში განსაკუთრებული კანონების გატარებას, რომელიც მიმართული იქნებოდა კომპარტიისა და პროფესიონალური ორგანოების წინააღმდეგ. ბრიტანეთის ხელისუფლება მიილტვის რათა შემოიღოს ისეთის კანონები, რომლებიც საშუალებას მისცემს მას გადაასახლოს კომუნისტები ინდოეთის საზღვრებიდან სასამართლოს მოხელეების მიერ გასამართლების გარეშე. დღეს ამ კანონს მხედველობაში ყავს მხოლოდ უცხოელი კომუნისტები ე. ი. არა ინდოელები, მაგრამ ჩვენთვის გასაგებია ამ კანონის საიდუმლოება. ეს მხოლოდ შესავალია, მომავალში კი ამას უთუოდ მოჰყვება ყველა იმ ელემენტების ინდოეთიდან გადასახლება. რომლებიც ავრცელებენ კომუნისტურ იდეას.

მეორე კანონი, რომლითაც სურს შეიარაღდეს ბრიტანეთის იმპერიალისტურ მთავრობას არის კანონი „მრეწველობაში კონფლიქტების შესახებ". ამ კანონით იკრძალება საპროტესტო ეკონომიური და პოლიტიკური გაფიცვები საზოგადოებრივი ხასიათის წარმოებებში და გაფიცვების ხელმძღვანელებს (უმთავრესად კომუნისტებს) ემუქრებათ ციხეში დაპატიმრება, როგორც „გაფიცვების ბელადებს". ბრიტანეთის მთავრობის ინტერესებს შეადგენს ინდოეთის პროლეტარიატი მოწყვიტოს საერთაშორისო პროლეტარულ მოძრაობას, კერძოთ კი ძლევამოსილ ს. ს. რ. კ. და ინგლისის პროლეტარიატს, გაანადგურონ დღითი-დღე ძლიერების სტადიაში შესული მუშათა მოძრაობა, რომელსაც ინდოეთის ყველა მიეწყებულ-მივარდნილ კუთხეებში მიაქვს რევოლიუციონური ძლევამოსილების ლოზუნგები. ბრიტანეთის მთავრობა ამით ცდილობს სასიცოცხლო ძალღონე გამოაცალოს ინდოეთში თავის მრავალმილიონიან მონებს, რომ მათ მომავალში საშუალება არ ექნეს რევოლიუციონური მოძრაობის წამოწყებისა.

ბრიტანეთის მთავრობა უკვე შეუდგა თავის გეგმების მოგვარებას. 1929 წ. მარტის 28, დილის 6 საათზე მთელ რიგ ქალაქების მუშურ რაიონებში დაგზავნილი იქნა შეიარაღებული ჯარის ნაწილები. შეიარაღებულები შემოესივნენ მუშების მეთაურთა სახლებს. დაპატიმრებული კომუნისტები ჩაყარეს ჯავშნოსან ავტომობილებში და საჩქაროდ გადაიყვანეს ინდოეთის პატარა ქალაქებში. აქ კი, მუშათა მასებს მოწყვეტილნი ისინი წარსდგებიან კლასობრივი სასამართლოს წინაშე. ამ ამბით აღტაცებულია ინგლისური კონსერვატიული გაზეთი „დეილი ტელეგრაფი", რომლის აზრით მათ მიესჯება უმაღლესი სასჯელი— დახვრეტა, საუკუნო კატორღა, ან 10 წლამდე დაპატიმრება.

ამავე დროს ინგლისის ხელისუფლების ბრძანებით ჩაიარებული იქნა პროფკავშირებზე თავდასხმები. რასაც შედეგად მოჰყვა მთელი რიგი გაზათების დახურვა და „საეჭვო ხასიათის წიგნების აკრძალვა".

მიღებული ცნობების თანახმად ინდოეთში დაპატიმრებები ისევ გრძელდება და უმაღლესი სასჯელით — სიკვდილით დასჯილთა რაოდენობა დღითი-დღე მატულობს.

ნიუ-იორკში შესდგა მქსოველთა უდიდესი საპროტესტო დემონსტრაცია, რომელიც მიმართული იყო პოლიციელთა თავგასულობის წინააღმდეგ. დემოსტრატორები დროშებითა და ლოზუნგებით გაემართენ მუნიციპალიტეტისაკენ, სადაც მათ დასტოვეს წერილი, რომელშიაც ბრალს სდებენ პოლიციის მოხელეებს შტრეიკ-ბეჰერებისადმი დახმარების აღმოჩენისათვის

ყველაფერ ამას ინდოეთის მუშათა კლასმა ბომბეისა და სხვა ქალაქებში უდიდესი საპროტესტო დემონსტრაციის მოწყობით უპასუხა. მარტო ბომბეიში დემონსტრაციაში მონაწილეობდა 30.000 მუშა. იმპერიალისტური პრესის ცნობით ხელისუფლება „დამამშვიდებელ" ზომებს მიმართავს. პოლიციის უმაღლეს მოხელეებს მიჩენილი ჰყავს მცველები. ყველა სტრატეგიულ ადგილებში დანაწილებულია ჯარის ნაწილები, რომლებიც მზათ არიან მღელვარებათა წინააღმდეგ გამოსასვლელად.

ყველა ეს დაპატიმრებანი და ხელისუფლების მიერ მიღებული განსაკუთრებული ზომები მაჩვენებელია იმისა, თუ რა სერიოზული ამბები მზადდება ინდოეთში.

რემედასის ყოველი წევრის მოვალეობას შეადგენს ყოველმხრივი მატერიალური, თუ მორალური დახმარება აღმოუჩინოს რევოლიუციონურ ინდოეთში მებრძოლ მილიონებს.

ლუგანი.

სოციალისტურ აღმშენებლობაში რემედასელების აქტიურათ ჩაბმით ჩვენ ვამაგრებთ საერთაშორისო პროლეტარულ რევოლიუციის ზურგს

რა არის რემედასი?

ჯერ კიდევ ყველა მუშას და გლეხს არ აქვს შეგნებული, თუ რა უდიდეს პოლიტიკურ როლს ასრულებს რემედასი პროლეტარიატის საერთაშორისო რევოლიუციონურ ბრძოლაში. საბჭოთა კავშირის მიყრუებულ რაიონებში კიდევ არიან ისეთი მშრომელები, რომლებმაც არ იციან, თუ რათ გვჭირდება რემედასის არსებობა. ხშირად ისეთებსაც კი შევხვდებით, რომლებმაც არც კი იციან თუ რას ნიშნავს სიტყვა რ ე მ ე დ ა ს ი.

პოლიციელთა შეტაკება ქ. ბომბეის ქუჩებში.

ამ წერილით ჩვენ გვსურს განუმარტოთ მუშებსა და გლეხებს რემედასის ძირითადი ამოცანები და მით მივიზიდოთ და ჩავაბათ მშრომელთა ახალი ძალები საერთაშორისო პროლეტარიატის სოლიდარობის დროშის ქვეშ.

სიტყვა რ ე მ ე დ ა ს ი არის რევოლიუციისათვის მებრძოლთა დამხმარე საერთაშორისო ორგანიზაცია, ე. ი. ისეთი ორგანიზაცია, სადაც გაერთიანებულია ყველა ქვეყნის მუშები და გლეხები იმ მიზნით, რათა დახმარება აღმოუჩინონ მთელი ქვეყნის რევოლიუციისათვის თავდადებულ მებრძოლებს, რომლებიც ათეულ წლობით იტანჯებიან იმპერიალისტურ ქვეყნების ციხეებში. ეს არის პროლეტარიატის კლასობრივი ორგანიზაცია, რომელიც მფარველობს და ზურგს უმაგრებს მუშათა კლასს ბურჟუაზიასთან გადამწყვეტი ბრძოლის მომენტში და რომელმაც უნდა დააჩქაროს ექსპლოატატორების არსებობის უკანასკნელი დღეები.

რემედასის ორგანიზაცია არ იქნებოდა საჭირო, რომ არ ყოფილიყო კაპიტალიზმი, რომ არ ყოფილიყო ადამიანისაგან ადამიანების ყვლეფა და შევიწროება, რომ მთელი მსოფლიო წარმოადგენდეს ერთ მთლიან თავისუფალ მშრომელთა საზოგადოებას, მაგრამ ჯერ-ჯერობით ეს ასე არ არის. მთელი დედამიწის ზურგზე გარდა საბჭოთა კავშირისა კიდევ ასრებობს ისეთი წესწყობილება, სადაც მემამულეები, ფაბრიკანტები და ბანკირები ძალით აკიწროებენ მუშებსა და გლეხებს. ისინი ამ უკანასკნელთა ექსპლოატაციით მდიდრდებიან.

იმ დროს როცა საკავშირო რესპუბლიკების ძლევამოსილი პროლტეარიატი წარმატებით აწარმოებს სოციალისტურ აღმშენებლობას, მუშათა კლასის და გლეხკაცობის კულტურულ მდგომარეობას, ევროპასა და აღმოსავლეთში სულ სხვა მდგომარეობას აქვს ადგილი. იქ მდიდრდება ბურჟუაზია, მუშათა კლასი და ულარიბესი გლეხკაცობა კი გაღატაკების გზაზეა დამდგარი.

საკ. კომპარტიის მე-15 ყრილობამ აღნიშნა ის გარემოება, რომ გერმანიაში 1927 წ. ივლისში კვალიფიციური მუშის ძირითადი ხელფასი ომამდე არსებულის მხოლოდ 93% უდრიდა. ინგლისში კი — 90%.

საფრანგეთში ქ. პარიზში 1926 წ. ბოლოს ომამდე არსებული ხელფასი შეინარჩუნეს მხოლოდ ასოთამწყობებმა, ყველა დანარჩენი დარგის მუშების ხელფასი ჩამორჩა 68 — 67 %%.

იტალიაში—უკანასკნელად ჩატარებულ ხელფასის დაკლების შემდეგ კვალიფიკაციურ მუშის ხელფასი უდრის ომამდე არსებულის 70 — 75 %%.

უკანასკნელ 2 წლის განმავლობაში შრომის ხელფასი სისტემატიურად მცირდება. რაც შეეხება მშრომელ ქალების პირობებს, მეტად აუტანელია. გერმანიაში ქალები მუშაობენ დღეში 10 — 12 საათის განმავლობაში. ჩინეთში 12 — 14 საათის. საფრანგეთში — 10 საათის. პოლონეთში 10 — 14 ს. ეგევე უნდა ითქვას სხვა ქვეყნებზედაც. როგორიც არის ბულგარეთი, რუმინეთი, სამხრეთ-სლავია, სადაც მუშა ქალების ხელფასი არ აღემატება დღეში 40 — 45 კაპიკს.

ეხლა როდესაც საკავშირო რესპუბლიკებში უკვე გადავდივართ 7 საათის სამუშაო დღეზე, თითქმის ყველა კაპიტალისტურ ქვეყნებში ჯერ კიდევ არ არის შემოღებული 8 საათის სამუშაო დღე, სადაც ე. წ. კაპიტალისტურ რაციონალიზაციასთან დაკავშირებით უამრავი უმუშევარი მუშები სიმშილობას განიცდიან.

ამ გარემოებას ვერ უარყოფს თვით ბურჟუაზია. ინგლისის ერთ-ერთი გამოჩენილი ჟურნალისტი ამას წინად სწერდა ჟურნ. „ე კ ო ნ ო მ ი ს ტ"-ში, რომ ევროპაში ამ ჟამად იმყოფება 10 — 12 მილიონი ოჯახი, რომელთა მარჩენალნი სხედან უმუშევრათ; ეს მაშინ როცა შეიარაღებისათვის თითეულ ბურჟუაზიულ სახელმწიფოს ეხარჯება 5 მილიარდი მან. ისეთ მდიდარ ქვეყანაში, როგორიც არის ამერიკა ითვლება 4 მილიონი უმუშევარი.

იქ, სადაც ბურჟუაზია ფუფუნებაში და განცხრომაშია ჩაფლული პროლეტარიატი თავის ცოლ-შვილით ნოტიო სარდაფებში სიმშილით სულს ღაფავს და თუ ამას დაუმატებთ პოლიციის აღვირახსნილ თარეშს მაშინ ადვილად წარმოვიდგენთ თუ რატომ არის, რომ ამ ბოლო ხანებში გამწვავებულია კლასთა ბრძოლა მთელს ევროპაში.

უკანასკნელ წლებში ჩვენ მოწამენი ვიყავით ინგლისის მუშების საერთო გაფიცვების. შეუწყვეტელი გაფიცვები ევროპის ცენტრალურ სახელმწიფოებში, რევოლიუ-

ციონურ მოძრაობათა ტალღები ჩინეთში. აჯანყება ვენაში 1927 წ. ივლისში. გაძლიერებული, გლეხთა მოძრაობა ბალკანეთის სახელმწიფოებში და სხვ., რომელიც მოასწავებს დასავლეთ ევროპაში რევოლიუციონურ მოძრაობის ზრდას და მის განვითარებას; შემთხვევითი არ არის ის გარემოება, რომ გერმანიის კომპარტიამ უკანასკნელ არჩევნებში რეიხსტაგში მიიღო 3½ მილ. ხმა. ხოლო საფრანგეთის კომპარტიამ კი ერთი მილიონი.

იტალიაში მომუშავე და ყოველმხრივ დევნილმა პოლონეთის კომპარტიამ მიიღო 800.000 ხმა.

ყოველივე ეს მომასწავებელია კლასობრივი ბრძოლის გაღვივებისა. ზედმეტია ლაპარაკი იმაზე, თუ რა ძნელ პირობებში უხდებათ ბრძოლა კოლონიების მშრომელ მასას ინდოეთში, ჩინეთში, სირიაში და სხვა ქვეყნებში. ექსპლოატაციას, რომელსაც განიცდიან ჩინეთის მუშები ფაბრიკანტებისაგან თან ერთვის უცხოეთის კაპიტალისტების მიერ მათი შევიწროება.

იგივე ითქმის ჩინეთის გლეხობაზედაც: მას არა აქვს მიწა, მუშაობს გენერლებისათვის, მემამულეებისათვის და გლეხები კი ფაქტიურად მათ ყმებათ ჰყავთ გადაქცეული.

იმ დროს, როდესაც ერთ მოსახლე გლეხს აქვს მეოექვსმეტედი ჰექტარი მიწა, თითეულ მემამულეთა მიწების სივრცის რაოდენობა ათეულ ათასს უდრის. გადასახადს კი გლეხი იხდის 5 — 10 ჯერ წელიწადში.

აი რატომ იბრძვის ეს 400 მილიონიანი ჩინეთის ხალხი და მიუხედავად მძიმე ბრძოლის პირობებისა და ხშირი დამარცხებებისა და უამრავი მსხვერპლისა ქედს არ იხრის და დღესაც განაგრძობს მედგარ ბრძოლას საუკეთესო შეიარაღებულ კაპიტალისტების წინააღმდეგ. წინააღმდეგ მათი ტანკებისა, ტყვიამფრქვეველებისა და ზარბაზნებისა ჩინელი გლეხი უშიშრად იბრძვის უბრალო კეტებით, დანებით, რათა ბოლო მოუღონ ბურჟუა კაპიტალისტების ბატონობას. ჩინელ მშრომელ ხალხს შესწევს საკმაო რწმენა და თავგანწირვა მომავალი გამარჯვებისათვის.

დედამიწის ზურგზე ყველა დაჩაგრულ ხალხებში იზრდება რევოლიუციონური მოძრაობა, მარცხნით იხრება მუშათა კლასი დასავლეთ ევროპაში და ვითარდება ნაციონალური გამანთავისუფლებელი მოძრაობა აღმოსავლეთის ერებში. ყველა დაჩაგრული ერები ცდილობენ მიჰბაძონ საბჭოთა კავშირში შემავალ ეროვნებების მაგალითს.

რევოლიუციონურ მოძრაობის ჩასაქრობათ ბურჟუაზია ყოველგვარ ღონისძიებას მიმართავს. ის არაფრის წინაშე არ იხევს ოღონდ კი დაშალოს რევოლიუციონური ორგანიზაციები, ის აგზავნის მხედრობას ჩინეთში და სხვა კოლონიებში. კრძალავს გაფიცვებს და აფერხებს პროფკავშირის მოღვაწეობას. ყოველ ღონისძიებას მიმართავს მოატყუოს მუშები და ცდილობს მუშათა კლასის და გლეხკაცობის ფიზიკურად განადგურებას.

ეკლესია, სოციალ-გამყიდველები, კინოები, სკოლები, ჟურნალ-გაზეთები უნდა გამოიყენონ იმისათვის, რომ მოატყუონ მუშები, რომ გაავრცელონ მათში ყალბი ხმები, რომ ცილი დასწამონ საბჭოთა კავშირს, რომ დაუკარგონ ნდობა მუშებში მათ ქვეყანაში არსებულ კომპარტიას, მაგრამ ეხლა ეს ზომები არ კმარა: პროლეტარიატი ეხლა საკმაოდ გათვითცნობიერებულია. საბჭოთა კავშირის 10 წლის არსებობამ ბევრი რამ ასწავლა მათ. სხვადასხვა ქვეყნიდან ჩამოსულმა დელეგაციამ ფარდა ახადა ევროპის ბურჟუაზიის მეჭორეებს და დარწმუნდა, რომ სოციალ-მატყუარები ყალბ ინფორმაციას აწვდიდენ საბჭოთა კავშირის შესახებ მათ.

ის აძლიერებს ნაცად საშუალებებს სახელმწიფო ძალადობისას. პოლიცია და „ოხრანკა" ჯარის ოფიცერთა შემადგენლობა და ჟანდარმერია, სასამართლოები და ციხეები, ტყვიები და მათრახები ელექტრონის სკამები, ყველა ესენი შემოღებულია ხმარებაში გაძლიერებული სიმკაცრით მოწინავე მუშების და გლეხების გასანადგურებლად. რამდენადაც ვითარდება პროლეტარული რევოლიუცია იმდენად ძლიერდება თეთრი ტეროორი, იმდენად ძლიერდება სიმხეცე გახრწნილ ბურჟუაზიის მხრივ, რაც მოასწავებს მისი აღსასრულის მოახლოვებას. ბურჟუაზია მიმართავს ტეროოს, რომ ამ საშუალებით შეინარჩუნოს ძალა-უფლება.

საბჭოთა კავშირის ყველა მუშამ და გლეხმა უნდა იცოდეს როგორი საშუალებით ამაგრებს თავის ხელისუფლებას ბურჟუაზია, როგორ ტანჯვა-წამებას განიცდიან მისი საზღვარგარეთელი ძმები. კლასთა ბრძოლის ისტორიის ფურცლებში რევოლიუციონერების სისხლით ჩაწერილია აღმაშფოთებელი ფაქტები.

შემოწმებელი ცნობებით 2 წლის 1925 — 1928 წლებში გამხეცებული ოხრანკების გაუსამართლებლად იყო დახოცილი 233.175 მუშა და გლეხი. გარდა ამისა ნიკვდილის განაჩენი ჰქონდა მისჯილი 35.710 კაცს. მაგრამ ეს ცოტაა, ყველა რევოლიუციონერებს ბურჟუაზია როდი ხოცავს, ბევრს მათგანს ის აწამებს ციხეებში და ბორკილებში, მათ წინააღმდეგ გამოაქვთ განაჩენები სამუდამო პატიმრებისა. 4 წლის განმავლობაში 320 ჯერ იქნა გამოტანილი ასეთი განაჩენი.

ამხ. **კურტა რეის** ნეშტის დაკრძალვა. წითელ ფრონტელები მიასვენებენ ცხედარს.

ათასობით და ათი ათასობით რევოლიუციონერებს აპატიმრებენ ყოველდღიურად. რატომ? იმიტომ, რომ

ისინი უკმაყოფილონი არიან ბურჟუაზიის მძაფრი რეჟიმით, იმისათვის რომ მათ უნდათ პური, მიწა და თავისუფლება. იმისათვის, რომ ერთი მუჭა კაპიტალისტების ძალაუფლება უნდა შესცვალონ მუშათა და გლეხთა ხელისუფლებით.

აქტიურ რევოლიუციონერების გარდა, ბურჟუაზია ხშირად სდევნის ისეთ პირებსაც, რომელთაც არავითარი კავშირი არა აქვთ რევოლიუციასთან. მათ სდევნიან იმისათვის, რომ ისინი თანაუგრძნობენ საბჭოთა ხელისუფლების მომხრე მუშებს. იმისათვის, რომ მათ ჰყავთ ნათესავები რევოლიუციონერები. პოლიტიკურად გათვითცნობიერებულ პროლეტარსა და გლეხს ხსნიან სამუშაოდან, ერეკებიან ბინებიდან ქუჩაში, უსპობენ მათ ცოლშვილს ლუკმა პურის შოვნის საშუალებას.

უკანასკნელ 4 წლის განმავლობაში კაპიტალისტურ ქვეყნებში შესდგა 12.266 პროცესი, რომელზედაც ბრალდებულებს ჰქონდათ გადაწყვეტილი კატორღა საერთო რიცხვით 77718 წლით. ეს ცნობები ამოკრეფილია თვით ბურჟუაზიულ გაზეთებიდან და რა თქმა უნდა შემცირებული ფორმით იქნება გადმოცემული. სინამდვილეში კი უნდა ვიგულისხმოთ გაცილებით უფრო მეტი.

არის მთელი რიგი ქვეყნებისა, როგორიცაა: ინდოეთი, აფრიკა, საიდანაც არ არის არავითარი შესაძლებლობა მივიღოთ სწორი ცნობები თეთრი ტერორის მსხვერპლთა რაოდენობის შესახებ.

ამრიგად რევოლიუციისათვის თავდადებული მებრძოლნი იღუპებიან იმპერიალისტების ჯალათების ხელით.

გ. კროვიცკი.

(გაგრძელება იქნება).

ანტიფაშისტური კონგრესი

ვისწრაფი გაგიზიაროთ ჩემი პირველი შთაბეჭდილებანი საერთაშორისო ანტიფაშისტური კონგრესის შესახებ, რომელიც ჩატარებული იქნა ბერლინში 9—10 მარტს ჩემი თავმჯდომარეობით. ამ კონგრესში მონაწილეობას იღებდენ სხვადასხვა პარტიების წარმომადგენლები სოციალ-დემოკრატიული პარტიის წარმომადგენლების გამოკლებით, რომლებმაც პრინციპიალურად გაილაშქრეს ამ კონგრესის მოწვევის წინააღმდეგ და რომლებმაც სასტიკად აუკრძალეს თავის წევრებს მასში მონაწილეობის მიღება. მიუხედავად ამისა ზოგიერთები არ დაემორჩილენ ამ აკრძალვას და გამოცხადდენ კონგრესსზე. გარდა ამისა კონგრესში მხურვალე მონაწილეობა მიიღეს მეცნიერების, ხელოვნებისა და ლიტერატურის წარმომადგენლებმა.

ყველაფერი ეს საშუალებას გვაძლევს დაბეჯითებით განვაცხადოთ, რომ 1-ლ საერთაშორისო ანტიფაშისტურმა კონგრესმა თავის გარშემო შემოიკრიბა ყველა ანტიფაშისტურად განწყობილი მიმართულებათა საუკეთესო წარმომადგენლები. ისეთი ადამიანები, როგორიცაა ქრისტიანული დემოკრატი მილონი. სოციალისტი კაროლ. გერმანიის ადამიანთა უფლებათა დამცველი ლიგის წევრები და სხვა მრავალნი, მხურვალე მონაწილეობას ღებულობდენ ამ კონგრესის საქმეში და იმ რეზოლიუციებში, რომლებიც მიღებულ იქნა იტალიის, ბალკანეთისა და სხვ. ქვეყნების რევოლიუციონერებთან ერთად.

კონგრესმა მხურვალე თანაგრძნობა გამოთქვა ამნისტიისათვის, რევოლიუციონურ ლტოლვილთა თავშესაფარის. სიტყვის თავისუფლების, ს. ს. რ. კ. თავდასხმების მოწყობის საწინააღმდეგო ზომების და თეთრი ტერორის მოღვაწეობათა დღის სინათლეზე გამოტანისათვის ბრძოლის მეთოდების გამომუშავების ირგვლივ. დაწვრილებით ახსნა-განმარტებისა და ნამდვილი სურათის თვალსაჩინოდ გადმოშლის შემდეგ ჩვენ, სხვადასხვა ქვეყნების წარმომადგენლები ერთ დასკვნამდე მივედით, სახელდობ ფაშისტური მოძრაობის შესაჩერებლად ძირითად, საუკეთესო საშუალებას წარმოადგენს საერთაშორისო მუშათა კლასის რევოლიუციონური ბრძოლის გაძლიერება, ვინაიდან სწორედ ამ მუშათა კლასის საუკეთესო წარმომადგენლებს იწირავს გამხეცებული ფაშიზმი, რომლის უმთავრეს მიზანს წარმოადგენს მუშათა რევოლიუციონური მოძრაობის განადგურება.

მუშათა კლასის მიერ შეურიგებელი ბრძოლის წარმოების აუცილებლობას მოითხოვდენ არა მარტო ანტიფაშისტურ კონგრესსზე, არამედ ბერლინში ორ ადგილას მოწყობილ მრავალათასიანი მიტინგებზე. ერთ-ერთი მათგანი მოეწყო ბუშის ცირკში, სადაც მონაწილეობას იღებდა 5.000 მეტი მუშა, ხოლო მეორე კი მოეწყო ადამიანთა უფლებების დამცველი ლიგის მიერ, რომელსაც დაესწრო ინტელიგენციის მრავალი ათასი წარმომადგენელი.

ჰანრი ბარბიუსი.

მუშა და გლეხ-ქალებო კაპიტალის ციხეებში მომწყვდეული რევოლიუციონერ-პატიმართა ოჯახები — მოელიან თქვენს დახმარებას. მშრომელო ქალებო გააძლიერეთ თქვენი მუშაობა რემედასის რიგებში

რემედასი საერთაშორისოში

რემედასი და კომკავშირი

უდაოა ის გარემოება, რომ საერთაშორისო რევოლიუციონური მოძრაობა დღითი-დღე ძლიერდება და ღრმავდება. კაპიტალიზმის ნაწილობრივი სტაბილიზაცია კიდევ უფრო აუარესებს ბურჟუაზიულ და კოლონიალურ ქვეყნების მუშათა კლასის მდგომარეობას. ეს გარემოება ჩვენს წინაშე აყენებს კაპიტალისტური წყობილების წინააღმდეგ ბრძოლის უფრო გაძლიერების აუცილებლობას.

საერთაშორისო მებრძოლ მუშათა კლასის ბრწყინვალე გამარჯვება დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენად მტკიცედ და ერთსულოვნად დარაზმული გამოვა ის ამ ბრძოლაში. მუშათა კლასმა კაპიტალისტურ სახელმწიფოების შემოტევას უნდა დაუპირისპიროს მჭიდროთ და ერთსულოვნად დარაზმული პროლეტარიატის მთლიანი ფრონტი. ამ შემთხვევაში ჩვენ უნდა გვახსოვდეს ამხ. ლენინის სიტყვები. ის სწერდა: „იმ ქვეყნის მუშათა კლასმა, რომელიც შესძლებს ბურჟუაზიის დამარცხებას, უნდა გააკეთოს შესაძლებლობის მაქსიმუმი. რომ დაიჩქაროს დანარჩენ ქვეყნებში რევოლიუციის გამარჯვება“-ო. ამ საქმეში აქტიური მონაწილეობა უნდა მიიღოს რემედასმა მთელი თავისი შესაძლებლობით.

საბჭოთა რესპუბლიკების მუშები და გლეხები ეწევიან ქვეყნის სოციალისტურ მშენებლობას. ისინი მზად არიან იდეიური და მატერიალური დახმარება აღმოუჩინონ კაპიტალისტურ ქვეყნებში მებრძოლ რევოლიუციონურ პროლეტარიატს. რომლის საუკეთესო წარმომადგენლები ასეულ ათასობით იტანჯებიან ბურჟუაზიულ ქვეყნების ციხე-სიმაგრეებში. ბურჟუაზია კარგად ჰხედავს ამ ერთსულოვანი დახმარების მიზნებს და მის მიერ გამოწვეულ შედეგებს. ამიტომ ის არავითარ საიზიზღარ ზომების წინაშე არ იხევს. ბურჟუაზია რკინის ქუსლით სთელავს რევოლიუციონურ მუშათა კლასის ყოველგვარ კანონიერ მოთხოვნილებას, აჩაღებს მათ წინაშე თეთრ ტეროს, აწარმოებს საჯარო გასამართლებებს, ასახლებს შორეულ კუნძულებზე „დამნაშავეებს“. ვინც ყოველდღიურად ათვალიერებს საბჭოთა პრესას, მისთვის ადვილი გასაგებია თუ რა მძიმე პირობებში უხდება მუშაობა ბურჟუაზიულ ქვეყნებში მოქცეულ მუშათა კლასს.

რევოლიუციონურ პროლეტარიატის მოძრაობისადმი ასეთი ველური მოპყრობა და მისი საარსებო ინტერესების ფეხქვეშ გათელვა ითხოვს მათი დახმარების საქმის გაძლიერებას. როგორც ვიცით, რემედასი მთელ მსოფლიოში ამ მიზანს ემსახურება. უნდა ითქვას, რომ რემედასს უდიდესი ისტორიული მოვალეობის ასრულება უხდება ამ მხრივ. ის მოწოდებულია ერთის მხრით ხელი შეუწყოს რევოლიუციონურ მუშათა კლასის და გლეხკაცობის ინტერნაციონალურად აღზრდას, მათ დარაზმვას საერთაშორისო ერთსულოვნების გამომსახველ — წითელი დროშის ქვეშ და ამავე კაპიტალის საპყრობილეებში მოქცეულ პატიმრების მატერიალურ დახმარების გაძლიერებას.

რემედასის ორგანიზაციის მუშაობა და მისი იდეის მშრომელთა მასებში პოპულიარიზაცია ბევრით არის დამოკიდებული ა. ლ. კ. კ. ორგანიზაციებზე, რასაც პირნათლად ემსახურებიან ეს უკანასკნელები, მაგრამ უნდა აღვნიშნოთ, რომ ახალგაზრდობის სრული 100% ჯერ-ჯეროობით კიდევ ვერაა ჩაბმული რემედასში. ჩვენ უნდა შევსძლოთ ამ ნაკლის გამოსწორება და მუშაობის ისეთი მეთოდების შემოღება, რომელიც დააინტერესებს ახალგაზრდობას.

რემედასის მიერ პირველ მაისის სადღესასწაულო კარნავალზე, ქ. ტფილისში გამოშვებული ავტომობილი — საპყრობილე.

აქვე არ შეიძლება გულის ტკივილით არ აღინიშნოს ერთი არანორმალური მდგომარეობა. სახელდობრ ის, რომ ზოგიერთი ჩვენი პარტიული ამხანაგები ძალზე გულგრილად ეპყრობიან რემედასის მუშაობას და არ იჩენენ არავითარ ინიციატივას. საჭიროა ამ გარემოებასაც მიექცეს ჯეროვანი ყურადღება და ერთხელ და სამუდამოთ მოვსპოთ ასეთი მიდგომა იმ დიადი ამოცანების განხორციელებისადმი, რომელიც მიზნად დასახული აქვს რემედასის ორგანიზაციას შესასრულებლად. კომპარტიისა და კომკავშირის ორგანიზაციები აქტიურ დახმარებას უნდა უწევდენ რემედასის ორგანიზაციებს, განსაკუთრებით ისეთ ადგილებში, სადაც რემედასს არა ჰყავს სათანადოთ მომზადებული ხელმძღვანელი ამხანაგები და აქტივთა შემადგენლობა. განსაკუთრებული ენერგია უნდა გამოიჩინონ ამ საქმეში კომკავშირის ორგანიზაციებმა.

კომკავშირმა ერთი-ორად უნდა გააძლიეროს რემედასში თავისი მუშაობა; მან ხელი უნდა შეუწყოს მშრომელ მოსახლეობაში ინტერნაციონალურ ერთსულოვნების გრძნობის გაძლიერება-გაღრმავებას.

ანტონ ბებია.

ხელმძღვანელობა სუსტია

(ტფილისი, ლენინის რაიკომი)

ლენრაიკომის რემედიასის საორგანიზაციო საფინანსო სექციის უკანასკნელ სხდომაზე იდგა: ამიერ კავკასიის რკინის გზების შესაკრებ განყოფილების მოხსენება.

ბიუროს ახალმა შემადგენლობამ თავისი საქმიანობა დაიწყო 1928 წ. თებერვლის 15-დან. ამ ხნის განმავლობაში ბიუროს სხდომა მოეწყო 16-ჯერ საერთო უჯრედთა კრება კი 2-ჯერ, სადაც მოსმენილი იქნა რემედასის მოქმედების შესახებ მოხსენება, ამავე ხნის განმავლობაში ჩატარებულ იქნა აგრეთვე პოლიტ-ემიგრანტ ლუკაშევიჩის მოგონებითი მოხსენება. შტატის შემცირებამდე უჯრედში იყო ორგანიზაციის 204 წევრი, ხოლო შემცირების ჩატარების შემდეგ კი დარჩა 150 კაცი, მათ შორის საწევრო ანარიცხები დროზე შემომტანთა რაოდენობა — უდრის 50. ამ ხნის განმავლობაში რაიკომში საწევრო ანარიცხებისა და ლიტერატურის დავალიანებათა დასაფარავად შეტანილია 149 მან. 60 კაპ. ხაზინადართან ფულად შენახულია 48 მან. რომელიც ჯერ კიდევ არა ჩაბარებული დანიშნულებისამებრ.

ახლო წარსულში ვერდენში (გერმანია) მოხდა უდიდესი შეტაკება წითელ ფლოტელთა და ფაშისტებს შორის, რომლის დროს დაეცა მრავალი დაჭრილი და ერთი მოკლული. სურათზე ამხ. შტიუბეკერი ცხედარი, რომელიც გმირულად დაეცა შეტაკების დროს.

უჯრედმა რემედასის სასარგებლოდ ორჯერ მოაწყო ლატარიის გათამაშება. გამოწერილია ჟურნ. „პუტ მოპრა" და „ბიულეტენი" 32 ცალი, ადგილობრივ კედლის გაზეთში გამოყოფილია რემედასის კუთხე, სადაც მთლიანად შუქდება რემედასის მუშობა. უჯრედის აქტივი შესდგება 11 კაცისაგან. უჯრედის მუშაობაში შემჩნეულია მიღწევებთან ერთად, საორგანიზაციო საფინ. კომისიას რემედასის კუთხეში ინტერნაციონალური მუშაობის უარყოფითი მხარეები, ბიუროს წევრთა ძალიან მცირე პროცენტი ყოფილა ჩაბმული უჯრედის მუშაობაში, სექციამ აგრეთვე ხაზი გაუსვა იმ გარემოებას, რომ პარტ-ორგანიზაციისა და ადგილობრივი კომიტეტის მიერ სრულიად არაა ხელმძღვანელობა.

პარტიულ ორგანიზაცია არც კი დაინტერესებულა და არ წამოუყენებია რემედასის საანგარიშო მოხსენება უჯრედში. კომკავშირის უჯრედი კი რომელიც აქტიურ ხელმძღვანელობას უნდა უწევდეს რემედასს სრულიად განზე აღმოჩნდა. უჯრედის წარმომადგენლის მიერ წარმოდგენილი მოხსენების თანახმად რაიონულმა კომიტეტმა მუშაობა ჩასთვალა დამაკმაყოფილებლად და მომავალ მუშაობაზე დაისახა მთელი რიგი საქმიანი და პრაქტიკული ღონისძიებები.

რემედასის უჯრედს უნდა ახსოვდეს რომ ეს ღონისძიებები არ დაივიწყოს არამედ საჭიროა მისი პრაქტიკულად განხორციელება, ხოლო რაც შეეხება პარტიულ უჯრედს და ადგილკომს მათ უნდა მოვაგონოთ რომ ისინი პასუხისმგებელნი არიან ორგანიზაციის წინაშე და პასუხსაგებენ რემედასის მთელი მუშაობისათვის, თუ ეს ასე არის მაშინ ისინი ვალდებულნი არიან ყოველმხრივი დახმარება აღმოუჩინონ ამ ორგანიზაციას.

ნ. ზლატნიცკი.

რემედასის უჯრედის მუშაობა

(ქ. ტფილისი. „ზარია ვოსტოკა"-ს სტამბა).

რემედასის უჯრედი აღნიშნულ წარმოებაში სასურველად მუშაობს. უნდა ითქვას, რომ ბუიროს ძველი შემადგენლობა, რომელიც არჩეული იყო 1928 წ. ივნისში, ღირსეულად მუშაობდა.

ბიუროს ძველი შემადგენლობის მოღვაწეობის პერიოდში წევრთა შემადგენლობა 72 — 104 გაიზარდა. ამ ხნის განმავლობაში უჯრედს გამოაკლდა 12 კაცი.

უჯრედის ირგვლივ გაერთიანებული ამხ. ეროვნების მიხედვით შემდეგნაირად დაიყოფა: ქართველი — 31, სომეხი — 34, რუსი — 24; ებრაელი — 11 და სხვ. — 4 ამრიგად ბიურო აერთიანებს 104 წევრს, რომელთა შორის — 99 მამაკაცია, 5 კი ქალი.

პარტიული მიმართულებით კომპარტიის წევრი — 40, კომკავშირის — 4, უპარტიონი — 60. საანგარიშო პერიოდის განმავლობაში სულ მოეწყო 4 საერთო კრება, ბიუროს სხდომა — 9 ჯერ. რემედასის რაიკომთან კავშირი დამყარებულია, როგორც წერილობითი, ისე ცოცხალი.

აღსანიშნავია ის გარემოება, რომ ქარხკომი და ადგილობრივი პარტიული უჯრედი ყოველმხრივად ხელს უწყობენ რემედასის საქმიანობას.

საანგარიშო პერიოდის განმავლობაში უჯრედის სალაროში შემოვიდა: საწევრო — 60 მ. 50 კ., შესასვლელი — 4 მ. 70 კ., ლატარიასა და ბუფეტიდან — 29 მ. 45 კ. ბიუროს ფონდში, ქარხკომისაგან — 13 მ. 91 კ. ამრიგად სულ შემოსავალი უდრის 175 მ. 77 კაპ. უჯრედმა მოაწყო ერთი ფასიანი საღამო, რომლიდანაც შემოვიდა 100 მანეთი.

უნდა ითქვას რომ ბიურო აქტიურ მუშაობას აწარმოებდა ადგილობრივ კედლის გაზეთში, სადაც სისტემატიურად აშუქებდა რემედასის მუშაობას. სტამბაში უკვე დიდი ხანია რაც მოწყობილია რემედასის კუთხე. მუშებში საკმაოდ ვრცელდება რემედასის ლიტერატურა. პარტიულ პროფესიონალურ და საბჭოთა ორგანიზაციების მიერ ჩატარებულ კამპანიებში რემედასელები აქტიურად ებმებიან და რაიკომის დირექტივებს ატარებენ მთელი ასი პროცენტით.

მართალია რემედასის უჯრედის მუშაობა დამაკმაყოფილებლად უნდა ჩაითვალოს, მაგრამ ბიუროს ახალმა შემადგენლობამ სერიოზული ყურადღება უნდა მიაქციოს შემდეგ გარემოებას:

ბიუროს სხდომების მოწვევას კვირაში 2 ჯერ. საერთო კრებების მოწვევას 2 თვეში ერთხელ; რემედასის დაფის განახლებას თვეში 2 ჯერ. რაიკომთან უფრო მჭიდრო კავშირის დაჭერას. კედლის გაზეთში უფრო მეტ თანამშრომლობას. საწევრო ანარიცხების თავის დროზე აკრეფას. უჯრედში მუშების მთელი 100 პროცენტით ჩაბმას. ამავე დროს საჭიროა სერიოზული ყურადღება მიექცეს რემედასის პერიოდიულ ორგანოებზე ინდივიდუალურ ხელისმოწერას და სხვ.

ყველა ამ ღონისძიებათა გატარებით რემედასის ბიურო შესძლებს დაკისრებულ მოვალეობის პირნათლად შესრულებას.

მიმდინარე წელს ბერლინში წითელ ფრონტელთა მიერ მოწყობილი მიტინგი 1848 წ. მარტის 18 დაღუპულთა საფლავზე.

აქვე უნდა აღინიშნოს სარევიზიო კომისიის სრული უმოქმედობა, რომელსაც საანგარიშო პერიოდის განმავლობაში არც ერთხელ არ მოუხდენია რევიზია. საჭიროა ეს არანორმალური მდგომარეობა ერთხელ და სამუდამოთ აღკვეთილი იქნეს.

დინამო.

ჩ ვ ე ნ ი მ უ შ ა ო ბ ა

(ასკანა. ოზურგეთის მაზრა).

დღეს ჩვენ ქვეყანაში სხვა ნებაყოფლობითი ორგანიზაციებთან ერთად ნაყოფიერად მუშაობს რემედასიც კარგა ხანია, რაც ჩვენს თემშიაც ჩამოყალიბდა რემედასის ორგანიზაცია. პირველ ხანებში ის ვერ იდგა სათანადო სიმაღლეზე, მისი მუშაობა ცოტათი მოისუსტებდა, მაგრამ ჩქარა ეს ნაკლიც გამოსწორებული იქნა. დღეს რემედასის ასკანის თემის ორგანიზაცია ერთ-ერთი უძლიერესი ორგანიზაციაა მთელს მაზრაში. რემედასის უჯრედები აერთიანებენ საშუალო და ღარიბ გლეხებს, მუშებსა და მოსწავლე ახალგაზრდობას.

უჯრედებში ხშირად იმართება კრებები, სადაც კეთდება მოხსენებები სხვადასხვა თემებზე. მშრომელი გლეხობის ინტერნაციონალურად აღზრდა სათანადო დონეზეა დაყენებული; ამ საკითხისადმი მიქცეულია სერიოზული ყურადღება და ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ ახლო მომავალში ის სავსებით მიღწეული იქნება.

რემედასის უჯრედში შემავალი წევრები დიდის ხალისით ეტანებიან ყოველგვარ ლიტერატურულ გამოცემებს, რომლებსაც რემედასის საქ. ც. კ. აწვდის ადგილებს. ჟურნალ რემედასი ვრცელდება საკმაო რაოდენობით, მაგრამ უნდა ითქვას, რომ ამ მხრივ გაცილებით უფრო მეტის გაკეთება შეიძლება ვინემ დღემდის არის გაკეთებული. ჩვენ უნდა შევეცადოთ რათა გავზარდოთ ჟურნალზე ხელისმომწერთა რაოდენობა. ამას უნდა მიექცეს ჯეროვანი ყურადღება.

ირაკლიონ თალაკვაძე.

თვით რემედასელების ინიციატივით და თვითმოქმედებით გამოვსძებნოთ უჯრედის შინა მუშაობის ახალი ფორმები.

რემედასის რკინის გზის რაიკომი

(ქუთაისი).

ერთხელ კიდევ უნდა აღინიშნოს ის გარემოება, რომ რემედასის ქუთაისის რკინის გზის რაიკომის მუშაობა სათანადო სიმაღლეზე სდგას. ეს მდგომარეობა ერთხელ კიდევ დადასტურდა რაიკომის კონფერენციაზე მიმდინარე წლის აპრილის 20.

ამხ. **გრიშა რუსია** ჟურნალ „რემედას"-ის კორესპოდენტი.

კონფერენციაზე რაიკომის მუშაობის ირგვლივ მოხსენება გააკეთა ამხ. ვასო ფარცვანიამ, სადაც გამოირკვა შემდეგი: ორგანიზაცია საანგარიშო ხნის განმავლობაში გაიზარდა, როგორც რიცხობრივად, ისე ხარისხობრივად გაძლიერებული ტემპით მიმდინარეობს მასიური ინტერნაციონალური აღზრდილობითი მუშაობა. ქვემდგომ უჯრედებსა და ორგანიზაციებთან მჭიდრო კავშირია დამყარებული. მუშა ახალგაზრდობა მთლიანად ჩაბმულია აქტიურ მუშაობაში. გლეხობასთან მუშაობა სასურველ დონეზეა დაყენებული.

რაიკომის მაშსტაბით კედლის გაზეთებში სისტემატიურად შუქდება რემედასის მიმდინარე მუშაობა. რაიკომი აერთიანებს 1128 წევრს, რომელიც ნაწილდება შემდეგნაირად: მუშები — 877. გლეხები — 29. ქალები — 82. ეროვნების მიხედვით, აისორი — 2. რუსი — 21. სხვა დანარჩენი ქართველებია.

საანგარიშო პერიოდის განმვლობაში ორგანიზაციას შეემატა 215 ახალი წევრი.

აღნიშნული რაიკომის ნაყოფიერი მუშაობა ერთის მხრით უნდა მიეწეროს ამხ. ვასო ფარცვანიას, ხოლო მეორეს მხრით კი. ნებაყოფლობით ინსტრუქტორების ენერგიულ მუშაობას.

კონფერენციამ აირჩია რაიკომის ახალი შემადგენლობა. რომელშიაც შედიან: ამხ. ვასო ფარცვანია, როჟამაძე, ლაკვეხელიანი, დონდუა, სტასინა, დოლიძე, კვიმსაძე, მოწენიძე, ტყაბლაძე, ბალანჩივაძე, მაღლაკელიძე, უგლავა: კანდიდატებათ: გედენიძე, ნიკურაძე და რომანიშვილი. საარევიზიო კომისიაში: ტყაბლაძე, ლოლაძე და კოსტაიდი.

ვუსურვებთ ახალ შემადგენლობას ენერგიულს და ნაყოფიერ მუშაობას.

დორგანელი.

დავეხმაროთ კაპიტალის პატიმრებს

პოლონეთის პოლიტ-პატიმართა სასარგებლოთ რემედასის თელავის ორგანიზაციაში შემომაქვს 10 მანეთი და ჩემის მხრიო ვიწვევ შემდეგ ამხანაგებს: 1. დავით ჩხეიძეს (თურდოსპირელი), 2. გ. ჩხეიძეს (ქუჩიშვილი), 3. სავლე ბრეგაძეს, 4. მარო თუშიშვილს. 5. სტეფანე ამირხანაშვილს და 6. ნოე შარაშიძეს.

ანიკო კრემენსკაია-ჩხეიძე (პოლონელი).

ამხ. ფ ი ლ ი ა ს გამოწვევით რემედასის სადგურ ქუთაისის რემედასის რკინის გზის რაიკომის სალაროში შემომაქვს ერთი მანეთი და ჩემის მხრით ვიწვევ: 1. ამხ. რემანოზ ჯიქიას, 2. მათე ლილუაშვილს, 3. დათიკო ნიკურაძეს და 4. იოსებ ნიკურაძეს.

ბესარიონ სურმავა.

სადგურ ქუთაისის რემედასის რკინის გზის რაიკომის სალაროში შემომაქვს ერთი მანეთი და ვიწვევ შემდეგ ამხანაგებს: 1. ეფროსინე ბაბუნაშვილს, 2. იორდანე ტორაძეს, 3. პლატონ გვენტაძეს და 4. ილია ცხადეს.

სერგო ჭარხალაშვილი.

ამხ. ვასო ფარცვანიას გამოწვევით რემედასის ქუთაისის რკინის გზის სალაროში შემომაქვს ერთი მანეთი და ამავე მიზნით ვიწვევ შემდეგ ამხანაგებს: 1. მიხეილ გელოვანს, 2. ნიკო ზაქარაშვილს, 3. ილია ხუციბერიძეს, 4. რემანოზ გედენიძეს და 5. თედორე ალხაზაშვილს.

ნესტორ ბალათურია.

რ ე დ ა ქ ც ი ი ს ა გ ა ნ

ჟურნალ „რ ე მ ე დ ა ს"-ის მიმ. წლის აპრილის № 4-ში ქ ე დ ე ლ ი ს ფსევდონიმით მოთავსებული წერილი „როგორ მუშაობენ ზუგდიდის მაზრაში" — ე კ უ თ ვ ნ ი ს ი ა კ ი მ ე კ ვ ა რ ა ც ხ ე ლ ი ა ს.

ტფილისი, 16/V ს. ს. მ. პ. პოლიგრ. ტრ. 1-ლი სტ. პლ. პრ. № 91 მთავარლიტი № 785 შეკვეთა № 1371 ტირაჟი 5000

ტ ფ ი ლ ი ს ი
ს ა ხ ე ლ მ წ ი ფ ო ს ბ ი ბ ლ ი ო თ ე კ ა

წერილები გერმანიიდან

სალამი ბარკენგოფიდან. *)

ძვირფასო ამხანაგებო!

მივიღეთ თქვენი ბარათი, რომლითაც გვამცნეთ თქვენი (საბჭოთა) სკოლების მდგომარეობა. ჩვენ აღტაცებაში მოვყავართ თქვენს სკოლებს, რომლის მსგავსი სამწუხაროთ არ გააჩნიათ გერმანიის მშრომელთ.

ისე კარგი პირობები, როგორიც თქვენთან არის გერმანიაში მხოლოდ რემედასის მიერ მოწყობილ საბავშო სახლში სუფევს.

მაგრამ აქ ჩვენ მხოლოდ 8 კვირის განმავლობაში გვამყოფებენ ვინაიდან ჩვენსავით უპატრონო ბავშები გერმანიაში ურიცხვია, რადგანაც მათი მშობლები ან დაიხვრიტა თეთრების მიერ ან ციხეებში იმყოფებიან. აქ ჩვენ გვასწავლიან ძვირფასი მასწავლებლების ლენინის, ლიბკნეხტის და სხვ. მოძღვრებას და მოღვაწეობას. ჩვენც როგორც თქვენ, ვუშვებთ კედლის გაზეთს, ვსწავლობთ რევოლიუციონურ სიმღერებს, რევოლიუციონურ ლექსების კითხვას, ვემზადებით, რათა ღირსეულად დავხვდეთ საკოს, ვანცეტის, ლიბკნეხტის, რ. ლიუქსემბურგის და სხვ. წამების დღეს.

აქ ჩვენ ზეიმით ვეგებებით ოქტომბრის რევოლიუციის დღეს და ყველა იმ დღესასწაულებს, რომელსაც ზეიმობენ საბჭოთა კავშირში.

სამაგიეროდ სულ სხვა პირობებია აქაურ სკოლებში. გერმანიაში არის ისეთი სახის სკოლები, სადაც დაიარებიან მუშების შვილები და ისეთიც, სადაც მხოლოდ მდიდრების შვილები დაიარებიან.

ჩვენ დავდივართ იმ სკოლებში, სადაც მეცადინეობენ ბავშები მხოლოდ 6 — 14 წლამდე.

ჩვენს სკოლებში მრავალი ზედმეტი საგნების გარდა იძულებულნი ვართ მოვისმინოთ რელიგიი ს გაკვეთილებიც.

ჩვენი მოწაფეების შეგნებული ნაწილი უარს ამბობს რელიგიის გაკვეთილებზე, მაგრამ ასეთებს მასწავლებლები ძლიერ მკაცრად ეპყრობიან.

სრულიად პატარა დანაშაულის გამო მათ სტუქსავენ, სცემენ და ცუდ ნიშნებსაც უსვამენ.

ისტორიის გაკვეთილებზე ჩვენ ხშირად გვესაუბრებიან ეროვნულ სიგმირეზე, მეფეთა ლაშქრობებზე ხოლო სახელოვან რევოლიუციებზე და მუშათა მოძრაობებზე კი კრინტსაც არ სძრავენ.

მასწავლებელი ჩვენთვის როდია უფროსი მეგობარი და აღმზრდელი, არამედ რაღაც ცივი და მიუკარებელი ადამიანი. ისეთი მასწავლებელი, რომელიც ჩვენ თანაგრძნობით მოგვეპყრობა აქ იშვიათია.

*) ეს წერილი მიიღეს ქ. ოდესის 4 შრ. სკოლის მოწაფეებმა. ვბეჭდავთ უცვლელად.

თვენ თქვენს წერილში სხვათა შორის გვწერთ იმ ქიმიურ ცდებზე, რომელსაც ახდენთ თქვენ მასწავლებლებთან ერთად — ჩვენ ასეთებს მოკლებულნი ვართ, ვინაიდან ასეთ რამეზე აქ არავინ ზრუნავს და არც სახელმწიფო იღებს საამისო ხარჯებს.

გერმანიის „წითელი დახმარების“ ბავშთა სახლი — „ბარკენგოფი“.

ჩვენს სასწავლებლებში არ არის არც კლუბები და არც სამკითხველოები.

არც მუშურ ახალგაზრდობის დღესასწაულებია ნებადართული. აქაურ სკოლებში ბატონობს მხოლოდ მასწავლებლის ნება-სურვილი.

მიუხედავად იმისა, რომ თქვენს გარდა წერილები გამოგვიგზავნა სხვა საბჭოთა სკოლის მოწაფეებმა, ჩვენ მაინც გვსურს კიდევ მოგვდიოდეს ახალი ამბები თქვენი მდგომარეობის შესახებ.

ჩვენ გვენატრება გავხდეთ ღირსეული მებრძოლნი, რათა შევებრძოლოთ სწავლა-აღზრდის იმ გაცვეთილ სისტემას, რომელიც გამეფებულია გერმანიის სკოლებში.

ძვირფასო ამხანაგებო! ჩვენ გვაღფრთოვანებს ყოველი ამბავი, რომელიც გეხებათ თქვენ ხოლო თქვენმა პირველმა წერილმა უფრო აღგვაფრთოვანა.

მოგვწერეთ კიდევ გიპასუხებთ ჩვენც და მაშინ უფრო ნათელი შეიქნება თქვენთვის ჩვენი საბავშო სახლისა და აქაურ სკოლების მდგომარეობა. შეგვეკითხეთ და ჩვენც გიპასუხებთ.

ბავშთა მონდობილობით:

ოტტო ბერ (14 წლის).
პაველ ხრისტი (13 წლის).

რემედასის ს. ც. კ. გამომცემლობა.

პ/მგ რედაქტორი: **შამშე ლეჟავა.**

ფასი 20 კაპ.

რემედასის საქ. ცენტრ. კომიტეტის გამომცემლობა

ტფილისი, კომინტერნის ქ. № 5. II-ე სართ. ელსმ. № 17—42

მიიღება ხელის მოწერა

ჟურნალ

„რემედიას“-ზე

ჟურნალ

„რემედიას“

გამოვა

ხელის მოწ. პირობები:

1 თვით	. . . . .	20 კ.
3 თვით	. . . . .	60 „
6 თვით	. . . . .	1 მ. 15 „
9 თვით	. . . . .	1 „ 70 „
1 წლით	. . . . .	2 „ 20 „

12 ნომერი